საქართველოს რესპუბლიკა

გამოცემის მე-100 წელი



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

ოთხშაბათი, 11 ივლისი. 2018 წ. №140 (8541), | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ჩანჩქერთან შეწყვეტილი ისტორია...

აშშ-ის საელჩო:

გმადლობთ თანადგომისთვის!

ხადას ხეობაში მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით ამერიკის საელჩო საქართველოში სოციალურ ქსელ Facebook-ის ოფიციალურ გვერდზე საგანგებო პოსტს ავრცელებს და თანადგომისთვის ყველას მადლობას უხდის.

„მადლობას გიხდით თანადგომისთვის. პატივს მივაგებთ სმიტების ოჯახის ნათელ ხსოვნას“, — რომელიც საელჩომ ქართულ და ინგლისურ ენებზე გაავრცელა, მას თან შესაბამისი ფოტოც ახლავს.

რედაქცია თანაუგრძნობს ამერიკის საელჩოს თანამშრომლებს და მთელ ამერიკელ ხალხს!..

ვინ იყვნენ ხადას ხეობაში მოკლული სმიტები

სმიტების ოჯახის მკვლელობისთვის დაკავებულ ახალგაზრდას ბრალი გუშინ წაუყენეს. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, მას სამუდამო პატიმრობა ემუქრება. მკვლელობის მოტივთან დაკავშირებით ვრცელდება შემდეგი ინფორმაცია: ახალგაზრდამ ხეობაში სამოგზაუროდ მყოფი ოჯახი ჩაჩქერამდე მიაცილა, შემდეგ ტურისტ ქალზე სცადა სექსუალური ძალადობა, რასაც მისი მეუღლის პროტესტი მოჰყვა და კონფლიქტიც ამიტომ წარმოიქმნა. მსგავს ვერსიას ყვებიან ადგილობრივები. საბოლოოდ კონფლიქტს სმიტების ოჯახი ემსხვერპლა...

გუშინვე აშშ-ის საელჩოსთან სმიტების ოჯახის სამოქალაქო სამძიმარი გაიმართა.

კალიფორნიიდან — მარნეულში

რაიან და ლორა სმიტები კალიფორნიიდან საქართველოში საცხოვრებლად 2011 წელს ჩამოვიდნენ. მათ საქართველოს მოქალაქეობა 2012 წლიდან მიიღეს და მარნეულში დასახლდნენ. მარნეულში ხელნაკეთი ხალიჩების საწარმოც ჰქონდათ და აზერბაიჯანულ სტილში დამზადებულ ხალიჩებს შტატებში გზავნიდნენ. საბედისწერო დღეს ისინი ხადას ხეობაში სამოგზაუროდ იმყოფებოდნენ.

მეგობრებსა და ნაცნობებს სმიტების ცრემლების გარეშე გახსენება უჭირთ. ყვებიან, რომ მათ საქართველო ძალიან უყვარდათ.

საბინა თალიბოვა — სმიტების მეგობარი:

„4-5 წელია, ერთმანეთს ვიცნობთ. ჩვენი ბავშვები ერთად იზრდებოდნენ. ადამიანები ძალიან უყვარდათ. გაოცებული ვიყავი, რომ მათ ამერიკაში ცხოვრებას საქართველოში ცხოვრება არჩიეს. ბევრი გეგმა ჰქონდათ. მაგალითად, მარნეულში საკუთარი ხარჯებით საბავშვო მოედნის მოწყობას აპირებდნენ. ეს დიდი ტრაგედიაა არა მხოლოდ მათი მეგობრებისთვის, არამედ საქართველოსთვის“.

სურაია მამიშოვა — სმიტების საქმიანი პარტნიორი:

„ბოლოს სამ ივნისს ვნახეთ. ძალიან თბილი ადამიანი იყო — მისგან ხალიჩების შეკვეთას ვიღებდით, შემდეგ კი ამერიკაში ყიდდა. ის არა მხოლოდ მის ოჯახს, არამედ მთელს სოფელს დააკლდა“.

დაკავებული დანაშაულს აღიარებს, თუმცა მშობლები მის უდანაშაულობაში დარწმუნებულები არიან:

„დავიფიცებ, კუნძზე თავს დავდებ, რომ ჩემი შვილი მაგის გამკეთებელი არ არის“, — ამის შესახებ მამა-შვილის მკვლელობაში ბრალდებულის მამამ **იორამ კობაურმა** განაცხადა.

კობაურის თქმით, ცდილობს, გაარკვიოს რა მოხდა. მშობლებმა მომხდარის შესახებ ინფორმაცია მეზობლებისგან შეიტყვეს. ისინი არ ეთანხმებიან გავრცელებულ ინფორმაციას და ამბობენ, რომ მათი შვილი დანაშაულს არ ჩაიდენდა, ის უბრალოდ დააშინეს და ამიტომ არის დაკავებული.

„ჯერ ჩემს შვილს ვეძებ, რა მოხდა, გავარკვიო-მეთქი, ხომ უნდა ვიცოდე ჩემი შვილისგან? არც დავლაპარაკებივარ ჩემს შვილს“, — განაცხადა იორამ კობაურმა.

მკვლელის დედის პოზიცია

„დარწმუნებული ვარ, ჩემი შვილი მაგას არ ჩაიდენდა. ძალიან ვთხოვ შინაგან საქმეთა სამინისტროს, წესიერად გამოიკვლიოს ეს საქმე და გამაგებინონ სწორი პასუხი. ეს ჩემი შვილის გაკეთებული არ არის. ბოლოს 7 ივლისს დამირეკა, მოვიკითხე, „როგორ ხარ-მეთქი?“ და მითხრა, რომ კარგად იყო. მითხრა, „ძალიან დიდი უბედურება მოხდა, ტურისტები დახოცესო“, ეს იყო სულ ჩვენი საუბარი. მომიყვა, ბევრი ხალხი ტრიალებს დაბლა ჭალაზეო და ეს იყო სულ“, — განაცხადა დაკავებულის დედამ.

რაც შეეხება თავად ბრალდებულს, გუშინ მედიასთან მოკლე კომენტარი გააკეთა მისმა ადვოკატმა მურმან ნიკოლეიშვილმა. მისი თქმით, დაკავებული მკვლელობებთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციას გარკვეულ ნაწილში არ ეთანხმება. კერძოდ, როგორც ადვოკატი ამბობს, ბრალდებულის თქმით, მას ტურისტ მამაკაცთან ფიზიკური დაპირისპირება არ მოსვლია.

„გავეცანი საქმის მასალებს, ვესაუბრე ბრალდებულს. ფაქტებთან დაკავშირებით შსს-სგან ცოტა განსხვავებული პოზიცია აქვს — კონფლიქტს არ ადასტურებს. მეტს ვერაფერს გეტყვით, ამის უფლება არ მომცა. თავად ამბობს, რომ თრობის ქვეშ არ იყო. რაც შეეხება ფსიქიკურ მდგომარეობას, ამას ექსპერტიზა სჭირდება, თუმცა ერთი შეხედვით, არაადეკვატურობის ვერაფერი შევნიშნე“, — ამბობს ადვოკატი.

ადვოკატის თქმით, დაკავებულს სახეზე დაზიანებები აღენიშნება. ის ექსპერტიზისთვის თბილისში გადმოიყვანეს, ექსპერტიზის შემდეგ კი კვლავ მცხეთაში, წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს.

ცნობები ვრცელდება ბრალდებულთან დაკავშირებით — კობაურები ახალგორის რაიონიდან დევნილები არიან. ისინი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, მცხეთის რაიონში, სოფელ წილკნის დასახლებაში, საძეგურის დევნილთა დასახლებაში ცხოვრობენ. კობაურებს 6 შვილი ჰყავთ და სოციალურად დაუცველთა სტატუსით სარგებლობენ. დაკავებული მალხაზ კობაური ოჯახის უფროსი შვილია, მას საშუალო განათლება არა აქვს.

„საბუთები დაკარგული ჰქონდათ, ყველა საბუთის აღდგენაში დავეხმარეთ. დედა მოვიდა, განცხადება დაწერა და შვილები სკოლაში ჩავრიცხეთ. ეგ მალხაზი თვალითაც არ მინახავს. ჯერ კლასში დარჩა, მერე კიდევ დარჩა და იძულებულები ვიყავით მოსწავლის სტატუსი შეგვეჩერებინა. სკოლაში საერთოდ არ დადიოდა, წარმოდგენაც კი არ მაქვს, როგორია. მისი და-ძმა ახლაც სკოლაში სწავლობს. ორი — მე-6 კლასშია და ერთი ძმა მე-8 კლასში სწავლობს. ძალიან გაჭირვებული ოჯახია. სოციალურად დაუცველები არიან“, — აცხადებს წილკნის სკოლის დირექტორი ლეილა ტაველური.

* * *

გამოძიება დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი, ორი ან მეტი პირის, მათ შორის, დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს. დანაშაული უვადო პატიმრობას ითვალისწინებს.

სმიტების ოჯახის მკვლელობის საქმეზე დაკავებულ მწყემსს ბრალი გუშინ ოფიციალურად წარედგინა

დღეს წინასწარ განუსჯელი ნატოს სამიტი იწყება...

იხ. 3 გვ.

პრეზიდენტი თურქეთში ინაუგურაციას დაესწრო, შემდეგ კი ნატოს სამიტში მონაწილეობის მისაღებად ბრიუსელში გაემგზავრა

გიორგი მარგველაშვილი და ქართული დელეგაციის წევრები თურქეთის პრეზიდენტის მიწვევით რეჯეფ თაიფ ერდოღანის ინაუგურაციას დაესწრნენ. გიორგი მარგველაშვილმა თურქ კოლეგას არჩევნებში გამარჯვება მიულოცა. ინაუგურაციისადმი მიძღვნილ ცერემონიაზე, რომელსაც ოცზე მეტი სახელმწიფოს მეთაური ესწრებოდა, ქართულმა დელეგაციამ პარტნიორებთან კომუნიკაციისას ნატო-ს სამიტის საკითხები განიხილეს. ხაზი გაესვა, რომ თურქეთი საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის მტკიცე მხარდამჭერია.

საზეიმო ღონისძიებების ფარგლებში, თურქეთის პრეზიდენტის ინაუგურაციის დასრულების შემდეგ რეჯეფ თაიფ ერდოღანმა გიორგი მარგველაშვილს და სახელმწიფო დელეგაციების მეთაურებს ოფიციალურ სადილზე უმასპინძლა.

საქართველოს პრეზიდენტის მეთაურობით ქართული დელეგაცია ანკარიდან ბრიუსელში ნატოს სამიტში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრება.

* * *

საქართველოს პრეზიდენტის მეთაურობით ქართული დელეგაცია ანკარიდან ბრიუსელში ნატოს სამიტში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრა.

პირველად, საქართველოსა და ნატოს ურთიერთობების ისტორიაში, უმაღლეს დონეზე გაიმართება შეხვედრა სახელმწიფოს მეთაურთა მონაწილეობით, სადაც საუბარი იქნება საქართველოს უსაფრთხოების გამოწვევებზე, თავდაცვისუნარიანობაზე და ამ კონტექსტში ნატო-საქართველოს თანამშრომლობის შემდგომ გაძლიერებაზე. ნატოს სამიტის ფარგლებში, საქართველოს პრეზიდენტს ექნება არაერთი ორმხრივი შეხვედრა, სადაც განხილული იქნება კონკრეტული ნაბიჯები, როგორც ალიანსთან ურთიერთობაში, ასევე ორმხრივ ფორმატში საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად.

პრემიერ-მინისტრის პირველი ვიზიტი ბრიუსელში შედგება

საქართველოს პრემიერ-მინისტრის რანგში მამუკა ბახტაძის პირველი ვიზიტი ბრიუსელში შედგება.

მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, მთავრობის მეთაური ბელგიის დედაქალაქს 18-20 ივლისს ეწვევა. ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია მაღალი დონის შეხვედრები ევროკომისიაში, ევროპულ საბჭოსა და ნატოს შტაბბინაში.

პატრიარქმა იანოშ ჰერმანს საქართველოს მხარდაჭერის გაგრძელება სთხოვა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელს, ბატონ იანოშ ჰერმანს შეხვდა.

დიპლომატი პატრიარქს გამოსამშვიდობებელი ვიზიტით ეწვია. მისმა უწმინდესობამ ბატონ ელჩს საქართველოსთვის გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა, წარმატებები უსურვა და სთხოვა, საქართველოს მხარდაჭერა მომავალშიც გააგრძელოს.

იანოშ ჰერმანი დაგვეშვიდობა...

პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელთან იანოშ ჰერმანთან გამოსამშვიდობებელი შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე საქართველო-ევროკავშირს შორის თანამშრომლობის საკითხები და საქართველოს პარლამენტის დღის წესრიგი განიხილეს.

იანოშ ჰერმანის შეფასებით, ბოლო წლების განმავლობაში, ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ინსტიტუციური შესაძლებლობები მნიშვნელოვნად გაძლიერდა. ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის თქმით, ევროკავშირი გააგრძელებს საქართველოს პარლამენტის აქტიურ მხარდაჭერას ინსტიტუციური, საზედამხედველო და კანონშემოქმედებითი ფუნქციების განვითარებისა და გაძლიერების მიმართულებით. იანოშ ჰერმანის განცხადებით,

საქართველოს პარლამენტთან მჭიდრო თანამშრომლობა წარმომადგენლობის ახალი ხელმძღვანელის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება იქნება. ირაკლი კობახიძემ იანოშ ჰერმანს გაწეული სამუშაოსთვის მადლობა გადაუხადა და სამომავლო საქმიანობაში წარმატება უსურვა.

საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია ისრაელში იმყოფება

საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია, თამარ ჩუგოშვილის ხელმძღვანელობით, იმყოფება ისრაელის სახელმწიფოში. დელეგაცია მონაწილეობას იღებს პარლამენტების ისრაელთან მეგობრობის ჯგუფების თავმჯდომარეებისთვის ისრაელის ქნესეთის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში.

კონფერენცია ტარდება ისრაელის სახელმწიფოს და ქნესეთის დაარსების 70 წლის იუბილის აღსანიშნავად. ეს არის პირველი მსგავსი ფორმატის კონფერენცია, რომელშიც წარმოდგენილია 30-ზე მეტი ქვეყნის საპარლამენტო დელეგაცია.

ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი მონაწილეობას მიიღებს მრგვალი მაგიდის შეხვედრებში და პანელ დისკუსიაში.

ენერგეტიკის სექტორი რეფორმების გზით მიდის...

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი ჩერქეზიშვილი ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს დირექტორს იანეშ კოპაჩს შეხვდა. შეხვედრის დროს განხილული იყო საქართველოს მიერ ენერგეტიკის სექტორში მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმები. შეხვედრას ასევე დაესწრო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე გიორგი ჩიქოვანი.

შეხვედრაზე განსაკუთრებულად გაესვა ხაზი ენერგეტიკის სექტორში მიმდინარე რეფორმის მნიშვნელობას, რომლის შედეგადაც ენერგობაზარი გახდება უფრო მეტად ლიბერალური, მიმზიდველი საერთაშორისო კაპიტალისთვის და გაცილებით მეტად ინტეგრირებული რეგიონალურ ენერგოსისტემაში, რაც, თავის მხრივ, გაზრდის ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ხარისხს.

შეხვედრაზე აღინიშნა ის დიდი პროგრესი, რომელსაც საქართველომ მიაღწია ენერგეტიკის სექტორში რეფორმების გატარების მიმართულებით. განსაკუთრებული ხაზი გაესვა ნორმატიული ბაზის შემუშავების კუთხით გადადგმულ ნაბიჯებს. ყურადღება გამახვილდა მთელ რიგ კანონპროექტებზე, რომლებიც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში მომზადდა და ამჟამად პარლამენტშია განსახილველად გადაგზავნილი.

ჭუბერში სახლების დანგრევის საფრთხე მოხსნილია

ჭუბერში სახლების დანგრევის საფრთხე მოხსნილია, ცხელ წერტილებში უკეთესი მდგომარეობაა — ეს განცხადება დევნილთა მინისტრმა სოზარ სუბარმა გააკეთა. ჭუბერში კვლავ გრძელდება პანელური ხიდის აწყობა, რომლის მეშვეობით მდინარის მარცხენა სანაპიროზე მძიმე ტექნიკა უნდა გადაიყვანონ. ხიდის აწყობის პროცესის დასრულებას საგანგებო შტაბის სპიკერი სოზარ სუბარი დღეისთვის ვარაუდობს. სუბარი ექსპერტებთან ერთად იმ ზონებში იმყოფებოდა, სადაც სტიქიის შედეგად განსაკუთრებულად მძიმე ვითარება შეიქმნა.

„დილიდან შემოვიარე ყველა ცხელი წერტილი ორივე ნაპირზე და უნდა ვთქვა, რომ დამამშვიდებელი მდგომარეობაა, ვითარება გარდატეხილია. დავათვალიერეთ სახლებიც, რომელთა გადარჩენის საკითხი ჯერ კიდევ გუშინ კითხვის ნიშნის ქვეშ იყო. ახლა თამამად შემიძლია ვთქვა, რომ საფრთხე მოხსნილია. ლოკაციებზე ვითარება უკეთესია“, — განაცხადა სოზარ სუბარმა.

ჭუბერში სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის ძირითადი ოდენობა დათვლილია, თუმცა ექსპერტიზის საბოლოო დასკვნის გამოქვეყნებამდე კონკრეტული ციფრები არ სახელდება. საგანგებო შტაბის ინფორმაციით, კომპენსაციას ყველა დაზარალებული მიიღებს.

თბილისს სექტემბრიდან 9 ახალი ბაგა-ბაღი შეემატება

თბილისში სექტემბრიდან საჯარო ბაგა-ბაღების რაოდენობა 180-მდე გაიზრდება — დედაქალაქში 9 ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაგა-ბაღი გაიხსნება, ხოლო 2 მოქმედ ბაღს ახალი კორპუსი შეემატება.

ინფრასტრუქტურული პროექტების უდიდესი ნაწილი დასრულებულია. ამჟამად, სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს ნუცუბიძის პლატოს მე-4 მიკრორაიონსა და ნაძალადევის რაიონში, ე.წ. ხეხილსანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე აშენებულ ბაგა-ბაღებში. 2018-2019 სააღმზრდელო

წლის დაწყებამდე დასრულდება ბაღების ტერიტორიაზე სათამაშო მოედნებისა და ეზოების კეთილმოწყობაც. ახალ ბაღებს უკვე მიენიჭა ნომრები. შესაბამისად, 18 ივნისიდან მიმდინარეობს აღსაზრდელთა რეგისტრაცია.

ახალი ბაღების ნომრებია:

№49 - ნაძალადევის რაიონი, გარეჯის ქუჩის მიმდებარედ;

№67 - საბურთალოს რაიონი, სოფელი დიღომი, მოციქულთა სწორი ნინოს ქუჩა;

№73 - საბურთალოს რაიონი, დიდი დიღმის მე-3 მ/რ, მე-12 კორპუსის მიმდებარედ;

№53 - გლდანის რაიონი, სოფელი გლდანი, მაყვალა მრევლიშვილის ქუჩა;

№57- გლდანის მე-3ა მ/რ, 24-ე კორპუსის მიმდებარედ

№44 - ვაკის რაიონი, ნუცუბიძის პლატო, მე-4 მ/რ, 27-ე კორპუსის მიმდებარედ;

№118 -ვაკის რაიონი, წყნეთი, სოხუმის ქუჩა №49-ის მიმდებარედ;

№38 - დიდუბის რაიონი, ზუგდიდის ქუჩა №3;

№68 - ჩუღურეთის რაიონი, პალიასტომის ქუჩა №1.

თბილისის 19 საბავშვო ბაგა-ბაღში გაზქურები ელექტროქურებით ჩანაცვლდა

ელექტროტექნიკის შესყიდვა ბავშვთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროექტის ფარგლებში განხორციელდა.

ქურების ჩანაცვლების რეკომენდაცია გაიცა „ყაზტრანსგაზის“ ექსპერტების მიერ, რომლებმაც სააგენტოს მიმართვის საფუძველზე შეისწავლეს სამზარეულოს ბლოკები ყველა იმ სააღმზრდელო დაწესებულებაში, სადაც ჯერ კიდევ გაზქურებით სარგებლობდნენ.

ბავშვთა უსაფრთხოება ბაგა-ბაღების მართვის საგენტოს პრიორიტეტია და ამ კუთხით, სააღმზრდელო დაწესებულებებში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება.

დღეს წინასწარ განუსჯელი ნატოს სამიტი იწყება

სანამ ვატყუოთ ერთმანეთი?!

ნატოს სამიტი (11-12 ივლისი) საქართველოს პოლიტიკური ელიტისთვის მნიშვნელოვანი რამ არის, ვინაიდან იქ მიღებულმა გადაწყვეტილებამ, ხელისუფლების მისამართით, მოსახლეობის დადებითი რეაქცია უნდა გამოიწვიოს. ხელისუფლება, რომელიც კარგა ხანია, დაშორდა ხალხს, თვლის, რომ მთელი საქართველოს ოცნება იყო, არის და იქნება ნატოში გაწევრება.

ხალხისთვის ნატო უდავოდ იყო ორგანიზაცია — სამართლიანობით გამორჩეული. ეს მაშინ, როდესაც ხალხმა საერთოდ არ იცოდა ამ ორგანიზაციის შესახებ და არც მისი „საგმირო“ საქმეების თაობაზე გაეგებოდა რაიმე!

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში და შემდგომ ქართული პოლიტიკის „კორიფეები“ იმდენად გაუთვითცნობიერებლები იყვნენ საერთაშორისო ცხოვრებაში და ნატოს რაობაში, რომ პრიმიტიულად მიიჩნევდნენ ამ ორგანიზაციაში შესვლის პროცედურას. მათი აზრით, ყველაფერი სურვილზე იყო დაფუძნებული, მითუმეტეს ისეთი „ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნისთვის“, როგორიც საქართველოა.

საზოგადოების გარკვეულ ნაწილს ემახსოვრება 9 აპრილის მომიტინგეთა მიმართვების გაგზავნა ნატოს შტაბ-ბინაში! მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. საქართველოს ცხოვრებაში უამრავი სასიამოვნო და ნაკლებსასიამოვნო მოვლენას ჰქონდა ადგილი. მძიმე გამოცდის ჩაბარება მოუწია ერს, თუმცა რამდენად წარმატებულად, მკითხველმა განსაჯოს.

ერთ რამეს კი ვიტყვი: ცხოვრებისეულმა გამოცდებმა, მხოლოდ ნაწილობრივ გვასწავლა ჭკუა და გულუბრყვილოდ აღარ ვენდობით პოლიტიკოსებს — როგორც შინაურს, ისე გარეშეს, 90-იანი წლების დასაწყისში რომ ვენდობოდით.

ხალხს დაშორებულ ხელისუფლებას ჰგონია, რომ ნატოში შესვლით ის (ხალხი) გაიხარებს და მადლობას ეტყვის ხელისუფალთ. ხალხზე მეტად, ვინც გაიხარებს, ცნობილია, ვინაიდან მას (ხელისუფლებას) მთავარი პრობლემა — ქვეყნის უსაფრთხოება (ასე ჰგონია) მოგვარებული ექნება, ანუ პასუხისმგებლობა ქვეყნის უსაფრთხოებაზე, ნატოში შესვლის შემდეგ, ნატოს დაეკისრება.

რა სჯობს ამას?! თუ ჩვენს ქვეყანას სხვა და მერე როგორი სხვა — 29 ქვეყანა დაიცავს, განა მისასალმებელი არ არის? მაგრამ...

საქართველოს ხელისუფალთა გულისწადილი კარგად არის ცნობილი ბრიუსელში და რომ არა მთელი რიგი საკითხები, დაკავშირებული ნატოს წესდებასთან, ფართოდ გაუღებდა მას კარს. ეს იცის საქართველოს პოლიტიკამ, თუმცა ჯიქურ აწვება ბრიუსელს — მიგვიღეთო. ბოლოს და ბოლოს, თუ დღეს გიჭირთ ჩვენი მიღება, მანამდე მაპი მოგვეციო!

ბრიუსელს, რომელსაც არ სურს საკუთარი წესდების დარღვევა, თავი შორს უჭირავს, მაგრამ არც ისე, რომ საქართველოს ხელისუფალთ ბოლომდე გული გაუტეხოს, გულგატეხილმა ნატოს ზურგი შეაქციოს და გეზი რუსეთისკენ აიღოს.

ნატოს წესდების მიხედვით, დაუშვებელია იმ ქვეყნის ნატოში მიღება, რომელსაც ტერიტორიული კონფლიქტები აქვს მეზობლებთან. საქართველოს აქვს ასეთი — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სახით და ვიდრე ტერიტორიული პრობლემები არ მოგვარდება, ნატო საოცნებო ედემის ბაღად დარჩება.

არის ერთი გამოსავალი — ყოფილი ავტონომიების დამოუკიდებლობის აღიარება, რის შესახებაც მიგვანიშნა ამერიკელმა მკვლევარმა, მაგრამ ამ თემას სისტემატური გაპიარება სჭირდება და მოსახლეობის ტვინის იმ დონემდე გამორეცხვა, რომ იოლად შეეგუოს ფაქტობრივად დაკარგულის მარადისობას.

ხელისუფლებაც ისეთი გვყავს, ავ თვალს რომ არ ენახვება. წინა — სააკაშვილის, სულ იმას გაიძახოდა, 2008 წლის ომის შედეგად თითო-ოროლა, ქვაღორღიანი სოფელი დავკარგეთ, ეს იყო და ესო. არადა, დაკარგული რომ მნიშვნელოვანია მცირემიწიანი საქართველოსთვის, ფაქტია. „ნაცთა“ შემდგომები, ააქტიურებენ აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის გარეშე ნატოში შესვლის თემას. რომ შევალთ, ნატო იზრუნებს ჩვენი ტერიტორიული საკითხის მოგვარებაზეო.

არადა, კარგად იციან, რომ ეს ასე არ იქნება. რა გამოდის? ერთმანეთს ვატყუებთ?

მაშ, რით არის ეს აჟიოტაჟი გამოწვეული?

მარტივი რამით. მძიმე სოციალურ-ეკონომიკური საკითხებიდან მოსახლეობის ყურადღების ნატოზე გადატანით.

საზოგადოება ვერ გაიხსენებს ნატოს ვერც ერთ სამიტს, რასაც ჩვენში დიდი აჟიოტაჟი არ გამოეწვია. არც ამჟამინდელია გამონაკლისი, მითუმეტეს ამჟამინდელს ბევრი რამ ისეთი შეიძლება მოჰყვეს, რამაც საფუძველი შეიძლება შეურყიოს მას. თუ მხედველობაში მივიღებთ სულ ახლახან გამართული „დიდი შვიდეულის“ შეხვედრას, რომელიც კრახით დასრულდა, სულაც არ არის გამორიცხული ანალოგიურის გამეორება, მითუმეტეს მაშინ, როდესაც ნატოს მთავარი შემოქმედი აშშ და მისი პრეზიდენტი ტრამპი ალმაცერად უყურებს ამ ორგანიზაციას.

ტრამპს ნატო ანაქრონიზმად მიაჩნია და არაერთხელ უთქვამს, რომ მთავარი მოწინააღმდეგის — ვარშავის პაქტის და სოციალისტური ბანაკის დაშლის შემდეგ ნატოს აღარაფერი ესაქმება. ის, ხომ საბჭოეთის წინააღმდეგ იყო შექმნილი?!

ნატოს შესანარჩუნებლად ამ ორგანიზაციის მოხელეები — მსუყე ხელფასებით უზრუნველყოფილნი, რა გზას არ მიმართავენ ორგანიზაციის შესანარჩუნებლად. რუსეთის მოსალოდნელი „აგრესია“ და „ინტერვენცია“ — ორგანიზაციის გადარჩენის მთავარი სალაპარაკო თემაა. მაგალითად მოჰყავთ ყირიმი და დონბასი.

განსაკუთრებული წივილ-კივილი აქვთ ატეხილი ნატოს წევრ ბალტიისპირა ქვეყნებს და პოლონეთს, რომლებმაც ფულის შოვნის ახალი გზა გამოიგონეს რუსეთის „აგრესიის“ შესაჩერებლად — დასავლეთიდან, საკუთარი სამხედრო საქმისთვის დაფინანსების გაზრდა.

ანალოგიური სურვილი აქვს უკრაინასაც, რომლის ხელისუფლება სისტემატურად გაიძახის — ჩვენ ის ქვეყანა ვართ, რომელიც ევროპას იცავს რუსეთის აგრესიისგანო. ასეთი განცხადებები არაერთხელ გვსმენია საქართველოს ხელისუფალთა მხრიდანაც.

ნატოს სამიტამდე დასავლელი ექსპერტები საინტერესო პროგნოზებს აკეთებენ ორგანიზაციის ხვალინდელ დღესთან დაკავშირებით. რადიკალები იმასაც წინასწარმეტყველებენ, რომ ტრამპი ბლოკის ლიკვიდაციასაც გამოაცხადებს, როგორც ამერიკისთვის ძვირადღირებულს, თანაც მითიური მტრისგან კარგი ცხოვრებით განებივრებული ევროპის დამცველს.

ასეთი გადაწყვეტილების მიღება ჯერჯერობით გაჭირდება, მაგრამ ის, რომ ნატო ღრმა სისტემურ კრიზისშია, ფაქტია. თავიდათავი ეკონომიკაა. „ცივი ომის“ დროს აშშ-ის ეკონომიკა, მსოფლიო ეკონომიკის 40%-ს შეადგენდა, დღეს — 15-17%-ია. შემთხვევითი არ არის ტრამპის მიერ ნატოს ხარჯების თვლა და პარტნიორებისთვის მოწოდება ერთობლივ პროგრამაში ფულის თანაბარი ხარჯვის თაობაზე.

ტრამპმა ასეთი პირობები დააყენა — ნატოს წევრმა ქვეყნებმა თავიანთი ეროვნული შემოსავლიდან გადაიხადონ 2%. თანხა მნიშვნელოვანია, მაგალითად, გერმანიისთვის ის 70 მილიარდ დოლარს შეადგენს, რაც ერთნახევრით მეტია იმ თანხებზე, გერმანია რომ საინვესტიციო პროგრამებში ხარჯავს. გერმანიის კანცლერმა მერკელმა თქვა, რომ მხოლოდ 2024 წლის ბოლოს შეძლებს ამ საკონტროლო ციფრზე გასვლას.

ახლახან ნატოს გენერალურ მდივან სტოლტენბერგთან შეხვედრის დროს ტრამპმა თქვა: „ჩვენ ველით, როდის დაიწყებენ ნატოს წევრი ქვეყნები სამხედრო ხარჯების 2%-მდე გაზრდას, თუმცა მგონია, რომ 2% ძალიან ცოტაა, საერთოდ, ის უნდა იყოს 4%-ი“.

არანაკლები აჟიოტაჟი მოჰყვა ტრამპის ნათქვამს სამხედრო მრჩევლებთან — გერმანიაში აშშ-ის სამხედრო კონტიგენტის ყოფნასთან დაკავშირებით. მას ასე უთქვამს: „მაშინ, როდესაც გერმანიას ენანება ნატოში ფულის გადახდა, თვით გერმანიაში სამხედრო სამსახურს გადის 35000 ამერიკელი“.

ტრანსატლანტიკური სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გაუარესების ჟამს, ძნელია სამხედრო თანამშრომლობის ძველებურად წარმართვა, მითუმეტეს მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამის აუცილებლობა არ არის.

მითიური მტრის გამო უზარმაზარი სამხედრო ხარჯები იმ ეკონომიკური შეფერხებების გამომწვევია, რასაც ამერიკა-ევროპაში აქვს ადგილი და რაც კარგად დაინახა ტრამპმა.

ბრიუსელი მასობრივი დემონსტრაციებით ეგებება ნატოს სამიტს. მოთხოვნა მარტივია — გაუქმდეს ეს სამხედრო ორგანიზაცია. მიწვდება თუ არა ეს ხმა სამიტის მონაწილეთა ყურს — ძნელი სათქმელია, მაგრამ ერთი რამ ფაქტია — რეალობიდან გამომდინარე ორგანიზაციის ხვალინდელი დღე კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

ჩვენ კი ნატოში მივისწრაფით.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

ისევ ცარიელი დაპირებები!

დარწმუნებული ვართ, რომ საქართველო რაც შეიძლება სწრაფად უნდა გახდეს ნატოს წევრი, — ამის შესახებ ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა პაოლო ალიმ პირველ არხთან ექსკლუზიურ ინტერვიუში განაცხადა.

პაოლო ალის განცხადებით, ის საქართველოს შესახებ ნატოს სამიტზე 11 ივლისს თავის გამოსვლაში ისაუბრებს.

„დარწმუნებული ვარ, რომ ნატოს ლიდერები აღიარებენ საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესს. საქართველოს შესანიშნავი პროგრესი აქვს და ეს პროგრესი დასაფასებელია. საქართველოზე ვისაუბრებ ნატოს სამიტზე, სადაც ჩემი სიტყვით გამოსვლა 11 ივლისს არის დაგეგმილი. ყურადღებას გავამახვილებ საქართველოს მიერ გატარებულ რეფორმებზე და თქვენი ქვეყნის მომავალ წევრობაზე.

ნატოს საპარლამენტო ასამბლეა მტკიცედ უჭერს მხარს ამ პროცესს. ჩვენ არაერთხელ ვიმყოფებოდით საქართველოში. საგაზაფხულო სესია საქართველოში გავმართეთ. დარწმუნებული ვართ, რომ საქართველო, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გახდეს ნატოს წევრი. ჩვენ ვამბობთ, რომ საქართველომ შეასრულა ყველა ვალდებულება.

საქართველოს გაწევრიანების შემდეგ, საქართველოს ორი რეგიონის რუსეთის მიერ ოკუპაცია ნატოს მეხუთე მუხლთან დაკავშირებით კითხვებს აჩენს. მე არ ვიცი, რა ჩაიწერება ნატოს სამიტის დეკლარაციაში. ჩვენ ყველა ველოდებით ლიდერების შეთანხმებას და საბოლოო ტექსტს.

ვფიქრობ, რომ ნატოს წევრობა უახლოვდება საქართველოს, ერთგულია ღია კარის პოლიტიკის. ნატოს ჰყავს ასპირანტი სახელმწიფოები. ასპირანტებს დიფერენცირებული მიდგომა სჭირდებათ. ყველას თავისი მომზადების დონე, ისტორია და პროგრესი აქვს“, — განაცხადა პაოლო ალიმ.

მაკედონიაც ჩვენზე ბევრად „მაგარი“ ყოფილა!

11-12 ივლისს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამიტზე, ბრიუსელში ნატოს ლიდერები ოფიციალურად მიიწვევენ მაკედონიას ნატოში გაწევრებისთვის, — განაცხადა ბლოკის გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა.

იმედის ახალი ნაპერწკალი

ღია წერილი ახალ პრემიერ-მინისტრს

ბატონო მამუკა, ხელისუფლებაში მოსვლის პირველსავე დღეებიდან ისეთი „ცეცხლი დაანთე“, მისი ნაპერწკლები უმალ რუსთავსაც მოსწვდა...

დიახ, მინისტრობის საწყისშივე აბობოქრდი, ჰოდა, უნებლიეთ ნეტარ ხსენებული, ჩვენი ეროვნული გმირის ჟიული შარტავას რუსთავში მოღვაწეობის ბრწყინვალე წელი გამახსენდა. ამაზე ქვემოთ, არადა, ისე ვიყავით ბურუსში მომწყვდეული, თითქოს მზეს ვხედავდით და არც არა.

ღმერთი, რჯული, არ ვაჭარბებ, ყოველ შემთხვევაში მე, რატომღაც, სუნთქვა მიჭირდა, და არა მარტო მე. და ისიც მინდა, აქვე გითხრათ, გიწინასწარმეტყველოთ, თქვენ უთუოდ ღირსეულად ამაღლდებით უფლისგან ბოძებულ ტახტრევანზე.

ერთი შეხედვით, ყოფილ პრემიერზე ძვირის თქმა გამიჭირდებოდა, არა და არ ეგების თქმა, რომ ურიგო ხელმძღვანელი იყოო, და მაინც ჩემ ირგვლივ ყველა მის წინამორბედ, გულანთებულ მამულიშვილს ირაკლი ღარიბაშვილს მინატროდა.

ის კი არა, დაგვიბრუნეთო, შესთხოვდნენ ყოვლისშემძლე ბატონ ბიძინას, ერი რომ უღმერთო მიშიკო სააკაშვილს სასწაულებრივ გამოსტაცა.

არა, ჩემზე ვერ იტყვიან, კვირიკაშვილი გადადგა და ხმა მერე ამოიღოო.

მე თვით მრისხანე „იმპერატორ სააკაშვილს“ არ შევპუებივარ.

ხალხი ბრძენიაო, ეს უხსოვარ დროში თქმული დღესაც დიდ სიბრძნედ ანთია ადამიანთა სულში, მაგრამ ხშირად ეს ბრძენი ხალხი უსუსურად მორჩილი ხარივით უღელს კისერშეშვერილი უსასოდ ეწევა ჭაპანს და მის გამოღვიძებას, გამოფხიზლებას ხშირად წლები სჭირდება. ამ დროს, ქვეყნის მეუფენი განცხრომით ნებივრობენ, ხალხზე მზრუნველის მანტიას ისე ოსტატურად მოირგებენ, ავ თვალს არ დაენახვებაო, რომ იტყვიან, ჰოდა, მათი მუცლებიც უსაშველოდ ამოუყორავი ხდება.

ივანიშვილ-ღარიბაშვილის პრემიერობის ხანმოკლე წლებში დანთებული ცეცხლი ჰა და ჰა მიინავლა, მხოლოდ ერთმა ღმერთმა უწყის, რა მოხდებოდა, მაგრამ „ქართველთ მოძულე“ ბატონმა ბიძინამ, როგორც ეს წყეულ ნაცებს და მართლაც ერის მოძულეთ აუჩემებიათ, ისევ უფლის ნებით, თქვენი თავი მოგვივლინა, ბატონო მამუკა.

მე ამჯერად ჩემს მშობლიურ რუსთავზე მინდა, შემოგჩივლოთ, მე არ ვიცი, რამდენად იცნობთ ქვეყნის ამ აღმოსავლეთის კარიბჭეს. ჯერ კიდევ საქართველოს მეორე ინდუსტრიულ ქალაქს, რომელიც უხსოვარი დროიდან ციხებურჯად ედგა ქვეყნის აღმოსავლეთს. ამადაც იყო, დიდმა დავით აღმაშენებელმა ჯერ რუსთავით დაიწყო საქართველოს გამთლიანება, მერე კი თბილისიდან განდევნა თურქ-სელჩუკები და ასე შექმნა მძლეთამძლე და ბრწყინვალე, სწორუპოვარი, დიდზე დიდი და ერთიანი სახელმწიფო.

სწორედ ამას შევთხოვდი გიორგი კვირიკაშვილს, რუსთავი, ბერქა ყაენის მიერ ნაოხარი, შვიდი საუკუნე რომ უდაბურებაში თვლემდა, მემატიანის თქმით: „აწცა ოხერ არსო“, და მისი არსებობა, ასევე „ხალხის მტერს“ იოსებ სტალინს მოაგონდა, ხელახლა აეღორძინებინა, ინდუსტრიულ გიგანტად ექცია, ახლა ისევ შველას საჭიროებს, ხელისუფლების მტკიცე მხარდაჭერასმეთქი, ამაზე ჩვენი ძირძველი გაზეთის „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებიდან რამდენჯერ მივმართე, მაგრამ ის ხელისუფლება ეტყობა, გაზეთს არ კითხულობდა.

ჰოდა, თავისუფლების არც თუ ხანმოკლე ზეობის წლებში, რუსთავში, მხოლოდ ერთხელ, ისიც წინასაარჩევნოდ, ისიც ქალაქის მთავარ ქუჩაზე, ლამის ცად შემართულ ტრიბუნაზე შემდგარმა, დიდის რიხით ჩაიკითხა თავისი ნახევარსაათიანი მოხსენება – ღაღადისი და უკან მოკურცხლა, ისე რომ ქალაქის მეორე ნახევარი არც მოინახულა.

არადა, ახალი რუსთავის გარიჟრაჟიდან საქართველოს ყველა პირველი პირი, სხვები ხომ თავისთავად, რუსთავს ხშირად სტუმრობდნენ... კანდიდ ჩარკვიანს ხომ პირადად სტალინისგან ჰქონდა დავალებული. თვით ლავრენტი ბერიაც ბევრჯერ იყო ჩამოსული. მშენებელ-მეტალურგებს ჭადრაკშიც კი გაეჯიბრა. ქვეყნის მესვეურს, ვასილ მჟავანაძეს მარტო რუსთავი კი არა, გარდაბანიც ძალიან უყვარდა. შევარდნაძეც შევარდენივით ჩამოიქროლებდა, ჰოდა, ბოლოს, მისი პრეზიდენტობისას ერთხელაც დირექტორებს (რუსთავში ამ დროს ხომ 44 მსხვილი და წვრილი სამრეწველო საწარმო იყო) გადააბარა, აწი თქვენ მიხედეთ აქაურობასო, ასე დაიწყო რუსთავის დაქცევა-გაჯართიანება.

ხოლო რაც სააკაშვილმა რუსთავს დამართა, როგორ დაანგრია, ამის გახსენებაც კი შეგაძრწუნებს ადამიანს.

არადა, იმ ხანად რუსთავში 90 ათასი ადამიანი იყო ფაბრიკა-ქარხნებში დასაქმებული.

კიდევ ერთს ვიტყვი, უფრო სწორედ მრავალგზის ნათქვამს გავიმეორებ, რუსთავის სკოლებს ყოველწლიურად 4 ათასი ქალიშვილი და ყმაწვილი ამთავრებს, სამუშაოს კი სანთლითაც ვერ მოიძევ.

ასეა წლიდან წლამდე, არადა, ეს თაობები სად იკარგებიან, როგორ უჩინარდებიან, მხოლოდ ერთმა ღმერთმა უწყის.

ჰოდა, თუ ასე გაგრძელდა, დაიცლება და ისევ გაუკაცრიელდება, ისევ წარიშლება, მოირღვევა აღმოსავლეთის კარიბჭე.

თუმც არაბ-ინდოელნი თუ სხვა ჯურისანი დღეს უკვე მრავლად შემოედინებიან და...

ნეტარხსენებული ჟიული შარტავა ვახსენე თავში. სულ რაღაც წელიწადი და 2 თვე იღვაწა რუსთავში, აქ მან რომ ცეცხლი დაანთო, მისი ალი დღესაც გიზგიზებს (ჟიული შარტავასთან ხანმოკლე, მაგრამ ფრიად საქმიანი ურთიერთობა მქონდა, რაც სასიკეთოდ წაადგა ჩვენს ქალაქს). ის რომ არ გაეწირათ, საქართველოს ბედი სულ სხვაგვარად წარიმართებოდა.

ალბათ, ამადაც გაიმეტეს.

მაგრამ „ღმერთი არ გასწირავსო“, – ბრძანა დიდმა რუსთაველმა, ჩვენმა აქაურმა რუსთაველმა, დიახაც ამ ქალაქის ღვიძლ შვილად რომ გვეგულვის.

ჰოდა, გვეიმედებით ბატონო ირაკლი, თქვენით უნდა დაიწყოს ღვთისგან ბოძებული საღვთო მამულ-დედულის ჭეშმარიტი აღორძინება. არა მარტო რუსთავის, სრულიად საქართველოს ხელახალი გაძლიერება.

ბუნებით უხვი მიწა-წყლისა.

ჰო, მარტო სასმელი წყალი გადაგვარჩენს. მაშ ასე, რუსთაველები, როგორც მთელი საქართველო, დიდი იმედით შემოგყურებთ.

გივი ჯახუა,

რუსთავის საპატიო მოქალაქე,
„სრ“ საკ. კორ.

◎ ტურიზმი

მესტიაში გზისა და გვირაბის გაკეთება ვერც საზაფხულო სეზონზე მოესწრო!

სვანეთი ტურისტებისთვის მიმზიდველია მაღალი და ლამაზი მწვერვალებით, თორემ ის, რაც ადამიანის, კერძოდ, ხელისუფლების გასაკეთებელია, პირიქით, სტუმრებს ჩასვლის სურვილსაც უკარგავს და ბუნების სილამაზით ტკბობის განწყობასაც. როგორც ადგილობრივები ამბობენ, ყველაზე დიდი წინაღობა მესტიამდე მისასვლელი გზაა, რომელიც ტურისტების რაოდენობას ამცირებს.

მესტიაში მდებარე სასტუმრო „ბანგურიანის“ გენერალური მენეჯერი ვლადიმერ გაზდელიანი აცხადებს, რომ წლეულს ტურისტების რაოდენობა მაქსიმალურად გაზრდილია – დატვირთვა წინა წელთან შედარებით 30 პროცენტით მეტია. მისი თქმით, როდენობა კიდევ უფრო გაიზრდებოდა, თუ მესტიამდე მისასვლელი გზა მოწესრიგდებოდა.

„ყველაზე დიდი გამოწვევა სვანეთისთვის გზაა, ეს პრობლემა მოგვარებული რომ იყოს, ტურისტთა რიცხვი საგრძნობლად გაიზრდებოდა. ადამიანები, მხოლოდ იმიტომ იკავებენ თავს ჩამოსვლისგან, რომ გზა დიდ დროს მოითხოვს. ეს ჩვენი ბიზნესის განვითარებას აფერხებს, რადგან ტურისტი არაკომფორტულად მგზავრობს“, – ამბობს ვლადიმერ გაზდელიანი.

ტურისტების რაოდენობა შარშანდელთან შედარებით შეუმცირდა სასტუმრო „თეთნულდს“. სვანეთში მდებარე სასტუმროს დირექტორი მზია ცხადაძე გაზდელიანს ეთანხმება და განმარტავს, რომ საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმართაობა ტურიზმის განვითარებას აფერხებს.

„ზუგდიდიდან ამოსასვლელად 3 საათი სჭირდება ტურისტს, როდესაც სულ არის საათის გზაა. საუბარი იყო გვირაბის გაკეთებაზე. თუმცა, ამ დრომდე არაფერი გაკეთებულა. თვითმფრინავი კი დაფრინავს კარგი ამინდში. ისიც აღსანიშნავია, რომ თვითმფრინავი 15-კაციანია და შესაძლოა, სტუმარი ვერ მოხვდეს იმ 15 ადამიანში“, – განაცხადა მზია ცხადაძემ.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელზეც სვანეთის სასტუმროების წარმომადგენლები საუბრობენ, ელექტროენერგიის სიძვირე და ბუნებრივი გაზის არარსებობაა, რაც მათ ხარჯებს ძალიან ზრდის. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბოლო პერიოდში სვანეთში სასტუმროების რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს, შეიძლება, ცოტა ხანში რეგიონი ელექტროენერგიის დეფიციტის წინაშე დადგეს.

„ელექტროენერგია ძალიან ძვირია, გაზი არ არის, რის გამოც დიდი რაოდენობის ელექტროენერგიას მოვიხმართ. ხელს გვიშლის ელექტროენერგიის ძაბვის ხარისხიც, რომელიც ხან დაბალ ნიშნულზეა, ხან მაღალზე. კარგი იქნება, თუ გამგეობისთვის პრიორიტეტი იქნება ბუნებრივი გაზი, რომლის არსებობით ხარჯები საგრძნობლად შეგვიმცირდებოდა“, – აცხადებს ვლადიმერ გაზდელიანი.

სასტუმროების წარმომადგენლები „კომერსანტთან“ საუბარში ყურადღებას გაჩერებულ საბაგიროებზე ამახვილებენ:

„ზამთარში უნდა იყოს მოწესრიგებული საბაგიროები. ადამიანი რომ ჩამოდის სათხილამურად, საბაგირო უნდა მუშაობდეს – ერთიც და მეორეც. არადა, ისინი თითქმის მთელ ზამთარს გაჩერებული იყვნენ ძალიან ცოტა ხანი იმუშავეს, რამაც დიდი ზარალი მოგვიტანა, რადგან ჩამოსული სტუმრები შემდგომ სხვა კურორტებზე გადავიდნენ“, – აცხადებს მზია ცხადაძე.

მესტიის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ნელი ნავერიანი კომერსანტთან საუბარში განმარტავს, რომ სვანეთის განვითარება დინამიკურად მიმდინარეობს. მისი თქმით, აქტიურ ფაზაშია როგორც ჯვარი-მესტიის გზის მშენებლობა, ასევე გვირაბის მშენებლობაც, რომელიც ლენტეხი-მესტიის მიმართულებით, გადაადგილების დრო 1.5 საათით შეამცირებს.

„მე ვერ ვიტყოდი, რომ ჯვარი-მესტიის მონაკვეთზე პრობლემები არ არის, თუმცა, იმასაც ვერ ვიტყვი, რომ პრობლემების უგულებელყოფა ხდება. გარკვეულ მონაკვეთებზე სერიოზული გამაგრებები მიმდინარეობს. გზა თავის დროზე ძალიან უხარისხოდ არის გაკეთებული. ახლაც მუშაობენ მის მოწესრიგებაზე, მიმდინარეობს ჩასხმითი სამუშოები, ჯებირების გაკეთება. ეს არ არის ერთჯერადი სამუშოები, თითქმის ხელმეორედ გაჰყავთ გზები დაზიანებულ უბნებზე“, – აცხადებს ნელი ნავერიანი.

მესტიის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ადასტურებს ინფორმაციას, რომ ელექტროენერგიის მოხმარება მესტიაში საგრძნობლად გაზრდილია. მისი თქმით, პრობლემას ბუნებრივი გაზის გაყვანა მოაგვარებს, თუმცა, ეს გვირაბის გაყვანის შემდეგ იქნება შესაძლებელი.

„ბუნებრივი გაზის არსებობა ბევრ პრობლემას მოაგვარებდა. მცირე და საშუალო ბიზნესი არ იქნებოდა მთლიანად ელექტროენერგიაზე დამოკიდებული. გადატვირთულია ელექტროგადამცემი ხაზები, განსაკუთრებით ზამთარში, რადგან სასტუმროს ქსელი დიდ ენერგიას ითხოვს. ამის ფიზიკური საშუალება კი აღარ არის, თუ არ მოხდა მისი ჩანაცვლება. ზამთარში ელექტროენერგიის მოხმარება პიკის საათში 20 მეგავატია, ეს რიცხვი ხუთი წლის წინათ 3 მეგავატი იყო“, – განაცხადა ნელი ნავერიანმა.

რაც შეეხება საბაგიროს გაჩერებას, ნელი ნავერიანი აცხადებს, რომ ჰაწვალის საბაგირო არ გაჩერებულა. თეთნულდის შემთხვევაში, მერის პირველი მოადგილე აღიარებს, რომ მართლაც ნაადრევად გაჩერდა. მისი თქმით, თეთნულდს კიდევ ორი თვე შეეძლო ფუნქციონირება, რადგან იქ თოვლი დიდხანს არ დნება.

ბაჩო ადამია

ეკონომიკაში ბევრი სიმახინჯეა და... ახალი პრემიერისგან გვაინტერესებს, ბოლოს და ბოლოს, რა შეიცვლება?!

დღეს მთავრობის ახალი ხელმძღვანელი პარლამენტს იმ მცირე მთავრობას წარუდგენს, რომლისთვისაც ახალი კონცეფცია დაიწერა და 150-მდე კანონპროექტში ცვლილებები შევიდა. წინასწარ ცნობილია, რომ ახალ მინისტრებს ოპოზიცია მხარს არ დაუჭერს, უმრავლესობა კი მზადაა, ახალი თუ ახალ მთავრობაში დარჩენილი ძველი მინისტრების ხედვები მოისმინოს და მხარი დაუჭიროს. მას შემდეგ, რაც 14 ივლისის პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე პრემიერი ახალ მინისტრებს წარადგენს, რომლებსაც ერთი კვირის ვადაში დაამტკიცებენ, ახალი პრემიერი თავისი, ასე ვთქვათ, კომპაქტური მთავრობით ქვეყნის მართვას შეუდგება და სავარაუდოდ, უმოკლეს დროში ის სიკეთეებიც უნდა დავინახოთ, რისთვისაც ახალმა პრემიერმა ერთთვიანი საკანონმდებლო შრომა გასწია. რა არის დღევანდელი საქართველოს რეალური პრობლემა, მთავრობისა და ბიუროკრატიის მოცულობა თუ კვალიფიკაციისა და პოლიტიკური ნების დეფიციტი — მიმდინარე პროცესზე ექსპერტი დემურ გიორხელიძე გვესაუბრება.

— როდესაც პრემიერ-მინისტრს კითხვას უსვამენ, რა სიკეთეს მივიღებთ მცირე მთავრობისგან, მას ხშირად აქცენტი გადააქვს იმ 200 მილიონ ლარზე, რომელსაც ორ წელიწადში დაზოგავს სახელმწიფო ბიუჯეტი. თანხების გამოთავისუფლება ცუდი არ არის, მაგრამ ჩვენს ეკონომიკას დღეს ეს პრობლემა აქვს?

— სიმართლე გითხრათ, აქცენტი გადატანილია ისეთ თემაზე, რაც არსებითი არ არის, ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს, მცირეა თუ დიდი მთავრობა, რადგან პრობლემების წინაშე დგას ქვეყანა და არა მხოლოდ ეკონომიკაში. ამდენად, მნიშვნელოვანია, რა ამოცანების გადაწყვეტას ცდილობს ხელისუფლება.

მცირე მთავრობაზე ლაპარაკი იმდენად არასერიოზულია, რომ პასუხის გაცემაც კი არ მინდა. დავუშვათ, ის იდეალური შემთხვევაც დადგეს და 200 მილიონი დაიზოგოს, ამ ჩავარდნილ ეკონომიკაში, რომლის მოცულობაც არის მიზერული — დაახლოებით, 15 მილიარდ დოლარამდე, არ მესმის მცირე მთავრობაზე საუბარი რას იძლევა.

მთავარია მთავრობა იყოს ეფექტური — რა არის ეფექტურობის კრიტერიუმები, როგორ გაიზომება, როგორი იქნება ეკონომიკა ხვალ და ზეგ — ეს არის მნიშვნელოვანი.

სავალუტო ფონდის ბოლო კვლევის თანახმად, საქართველოს ეკონომიკის ზრდა 2022 წლის ჩათვლით არ იქნება წლიურ 5,5%-ზე მეტი, ისიც ბოლო სამ წელიწადში. როდესაც ისედაც უმცირეს ეკონომიკაში ასეთი უმნიშვნელო ეკონომიკური ზრდის პროგნოზი არსებობს, ეს ნიშნავს, რომ სსფ-ის, გნებავთ, მსოფლიო ბანკის საკმაოდ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ხედავენ, რომ იმ ტიპის რეფორმა, რომელიც ძირეულად შეცვლის სიტუაციას, საქართველოში არ ტარდება.

ახალი პრემიერის პროგრამაშიც არაფერია ნათქვამი, თუ რა სერიოზული ნახტომისთვის მზადდება ეკონომიკა. როგორი იქნება ინსტიტუციონალური თუ ინფრასტრუქტურული ცვლილებები, მათ შორის სამართლებრივი და ბიზნესის თვალსაზრისით. როგორ მოეწყობა ფინანსური ინფრასტრუქტურა, რომელიც არის ყველაზე დიდი შემაფერხებელი ქართული ეკონომიკის, რაზე გაკეთდება სტიმულები, საქართველოს ეკონომიკა ნელ-ნელა დაიწყებს თუ არა ინოვაციურ რელსებზე გადასვლას თუ ისევ ტურიზმზე გვესაუბრებიან...

ტურიზმს რაც შეეხება, ორჯერ მეტი ტურისტი რომ შემოვიდეს საქართველოში, ამით ეკონომიკის მომავალი უკეთესი არ გახდება, ვერანაირი სოციალური პრობლემები ამით ვერ გადაწყდება და ა.შ.

ჩვენ გვესმის განცხადებები, რომელიც აცდენილია დროს და სივრცეს — იყოს მთავრობა თუნდაც მრავალრიცხოვანი, ოღონდაც საქმე გაკეთდეს. სად არის ის საქმე, რომელსაც ეს მცირე მთავრობა გააკეთებს? 200 მილიონის ეკონომიაც არაფერს არ იძლევა, რადგან ეს თანხა ვერ მოახდენს გარღვევას იმ სიტუაციაში, რომელშიც ქვეყანა იმყოფება.

— ჯერჯერობით კონკრეტული რაც მოვისმინეთ, ეს არის ცვლილებები საგადასახადო კოდექსში, შემცირდება მცირე ბიზნესისთვის ბრუნვის გადასახადი, თუმცა, სამწუხაროდ, მასზე ქართულ ეკონომიკაში თითქმის უმნიშვნელო წილი მოდის — დაახლოებით 3%-ზეა საუბარი...

— ჩვენ გვინდა პრემიერისგან მოვისმინოთ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების კონცეფცია — რა ეშველება ამ ყველაზე მეტად განადგურებულ სექტორს, რომელიც სულს ღაფავს, საკუთარ რისკზე მუშაობს, არანაირი ხელშეწყობა საკუთარ ქვეყანაში არ გააჩნია... მერე რა, რომ 1%-ზე დავა ბრუნვის გადასახადი, ამით უკეთესი გახდება მისი მდგომარეობა?!

წარმოდგენები, რომ ამგვარი ცვლილებით რეალური შედეგი შეიძლება მივიღოთ, ძალზე დამაფიქრებელია — დღევანდელი გაჭირვებული მცირე მეწარმისთვის 5-ის ნაცვლად 1%-იანი ბრუნვის გადასახადი ძალიან კარგია, მაგრამ რა შეიცვლება ამით? რა ხელშემწყობი ნაბიჯები გადაიდგმება იმისათვის, რომ მცირე ბიზნესმა შეასრულოს ორი ფუნდამენტალური ფუნქცია, რომელიც ყველა ნორმალურ ქვეყანაში აკისრია მცირე და საშუალო ბიზნესს?!

განვითარებული ქვეყნები უამრავ ღონისძიებას ატარებენ ამისათვის — აშშ-ში მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია არსებობს, რომლის ხელმძღვანელსაც პრეზიდენტი ნიშნავს და ყოველ შტატში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული შენობა სწორედ ამ ორგანიზაციას ეკუთვნის, მათ უზარმაზარი ფუნქციები აკისრიათ.

ის ყველაფერი, რაც საქართველოში ხდება, არის იმ დანაშაულებრივი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგი, რაც ე.წ. რეფორმატორებმა გაკეთეს თავის დროზე. არავის აინტერესებდა მცირე და საშუალო ბიზნესი. ყველა იმ ოლიგარქიული ბიზნესებით იყო დაინტერესებული, რომელიც ჩამოყალიბდა საქართველოში.

თუ ამერიკის მთლიან შიდა პროდუქტის მოცულობაში მცირე და საშუალო ბიზნესის წილი ნახევარზე მეტია და თითქმის ყველა ქვეყანაში ასეა, საქართველოში როგორ მოხდა, რომ მცირე და საშუალო ბიზნესზე მხოლოდ 20% მოდის, ხოლო ეკონომიკის 80%-ს დიდი ქართული კომპანიები აკეთებენ?! ეს არის სიმახინჯე და ახალი პრემიერისგან გვაინტერესებს, აქ რა შეიცვლება.

რა შეიცვლება ფინანსურ სექტორში, სადაც ბანკები დომინირებენ და მოსპობილია ეკონომიკის განვითარების პერსპექტივა? — ეს ბანკების ბრალი არ არის, იმ ხელისუფლების დანაშაულია, რომელმაც ბოლო 25 წლის განმავლობაში ჩამოაყალიბა ის სიმახინჯე, რომელსაც ქართული საბანკო სისტემა ჰქვია.

ახალ პრემიერს წარმატება მინდა, ვუსურვო და ყველა წარმატებული ნაბიჯი საკუთარი ხელისუფლებისა, ნამდვილად მიხარია, მაგრამ უკანასკნელი 25-30- წელია, საქართველოს არ ჰყოლია მთავრობა, რომელიც საქმეს გააკეთებს.

— როდესაც პირველად გამოჩნდა ბახტაძე, ყურადღება მიიქცია სწორედ საბანკო სექტორთან დაკავშირებული განცხადებებით, გაჩნდა იმედი, რომ საბანკო პოლიტიკასთან მიმართებაში ძირეულად თუ არა, არაპროფილურ საქმიანობასთან დაკავშირებით მაინც, რაღაც გადაიხედებოდა, თუმცა ეს თემა ჯერეჯერობით მიყუჩებულია...

— პირველი განცხადება რაც გააკეთა, იყო აბსოლუტურად სწორი, სამართლიანი და მხარდასაჭერი — თუ საბანკო სისტემამ ეკონომიკაში თავისი ცივილიზებული ადგილი არ დაიკავა — თანამდეროვე ცივილიზებულ სამყაროში საბანკო სექტორს რა ფუნქციები და ვალდებულებებიც გააჩნია, ის არ შეასრულა, არაფერი შეიცვლება.

დღეს ყველაფერში ხელს ურევენ, ყველაფერი მონოპოლიზებული აქვთ — მცირე, საშუალო თუ ნებისმიერი დამოუკიდებელი ბიზნესი აბსოლუტურად ფინანსური მხარდაჭერის გარეშეა დარჩენილი. შიგნით რა ხდება, თავიანთ ბიზნესებს რა პროცენტში აძლევენ კრედიტს, სხვის ბიზნესს — რა პროცენტში, ეს კიდევ ცალკე თემაა...

ბახტაძის შემდგომი განცხადებები ცოტა უფრო კომპრომისული იყო, არადა, ამ თემაში კომპრომისები არ არის საჭირო. ბანკების ექსპროპრიაციებს და მსგავს მეთოდებს ნამდვილად არ ვგულისხმობ, მაგრამ თამაშის ცივილიზებული წესების შემოტანა ნამდვილად აუცილებელია. ბანკებმაც კეთილი უნდა ინებონ და დაემორჩილონ ამ ძალზე აუცილებელ ცვლილებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მამუკა ბახტაძე კი არა, ვინც არ უნდა მოვიდეს, არაფერი შეიცვლება, რადგან სისტემაა მახინჯი, რომელიც ქვეყნის განვითარების საშუალებას არ იძლევა.

პრემიერმა ზუსტად უნდა იცოდეს, მიგრაციის რა დონეა ქვეყანაში, რამდენი ადამიანია გასული, ქვეყნის შიგნით როგორია ხელფასების დონე კერძო სექტორში — თავი დავანებოთ სახელმწიფო სექტორს, რომლის ხარჯზეც დასაქმებულთა უდიდესი ნაწილი მოდის. როგორია სახელფასო განაკვეთები, შრომის პირობები; დაცულია თუ არა თანამშრომლების უფლებები — ტოპმენეჯერების მაღალი ხელფასი ბევრს არაფერს ნიშნავს. რა ოდენობის სხვაობაა ხელმძღვანელობისა და რიგითი თანამშრომლების ხელფასებს შორის, რომლებიც უმცირეს თანხებს იღებენ — უსერიოზულესი ცვლილებებია საჭირო.

— განცხადებების დონეზე რაც მოვისმინეთ, ყველაფერი მისაღებია, თუნდაც ის, რომ ბიზნესში სამართლიანი თამაშის წესები დამყარდება, მაგრამ რეალურად როდის დავინახავთ, რომ რაღაც იცვლება? როდესაც ეკონომიკაზეა ლაპარაკი, სპეციალისტები მუდამ ამბობენ, რომ ხელშესახები ცვლილებები მყისიერად ვერ დადგება და ამასობაში გადის ათწლეულები, რომელიც ერთმანეთისგან არაფრით განსხვავდება...

— საქართველოს უკვე აღარ აქვს დრო, ამიტომ პარალელურად, რამდენიმე მიმართულებით უნდა იქნას მიღებული გადაწყვეტილებები, რომელიც როგორც უახლოესი, ასევე საშუალო და გრძელვადიანი პერიოდის მიზნებს მოემსახურება. მართალია, საქართველოს ხელისუფლებები სულწასულები არიან და უცებ უნდათ რაღაცის მიღწევა, მაგრამ ოდესმე ვინმემ ხომ უნდა გათვალოს, გრძელვადიან პერსპექტივაში როგორ წარმოუდგენია საკუთარი ქვეყანა? ცხადია, მიმდინარე პრობლემებს გვერდს ვერავინ აუვლის, მაგრამ ახლა თუ არ ჩაეყარა საფუძველი გრძელვადიან სტრატეგიას, რაზე ვილაპარაკოთ? იმაზე, რომ ტურისტები მოდიან და აყვავდა ქვეყანა?!

კიდევ ერთი გადასაჭრელი პრობლემაა ეკონიმიკური განათლება, როდესაც ისეთი ეკონომიკური განათლების მიღება იქნება შესაძლებელი, როგორც განვითარებულ ქვეყნებშია, მაშინ აღარ გაიმართება უსაგნო მსჯელობები, როგორი უნდა იყოს მთავრობა — დიდი თუ პატარა. მთავარია მისი ეფექტიანობა და ეფექტურობა. ეფექტურობის ერთ-ერთი კრიტერიუმი კი შეიძლება, ისიც იყოს, რომ მისი შენახვა ძვირი არ უნდა ჯდებოდეს.

როდესაც ქვეყანაში უამრავი პრობლემაა და არც ერთი მათგანი არ წყდება თავისუფლების მოპოვების დღიდან, მცირე და დიდ მთავრობაზე კი არა, იმ სტრატეგიაზე უნდა ვსაუბრობდეთ, რომელიც ქვეყანას სწრაფი განვითარების საშუალებას მისცემს.

ვიდრე მთავრობა და ახალი პრემიერი არ ჩამოაყალიბებს და არ გვეტყვის, რას გააკეთებს უახლოეს, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში, მანამდე ყველანაირი საუბრები არის უსაგნო და არაფრის მომცემი — დაველოდოთ, რა პროგრამას წარმოადგენენ, შემდეგ უკვე შეიძლება დეტალური ანალიზი იმისა, რას აპირებს ეს მთავრობა და შეძლებს თუ არა ამის გაკეთებას.

ესაუბრა
ლალი ზირაქიშვილი

ეთიკური სტანდარტების დაცვა ყველას სჭირდება

არა მხოლოდ დეპუტატებს, არამედ ჟურნალისტებს და საზოგადოებასაც სჭირდებათ ეთიკური სტანდარტების დაცვა, — ეს განცხადება საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა გუგული მაღრაძემ გააკეთა.

მისივე თქმით, აუცილებელია პარლამენტარებს, როგორც პროფესიულ ჯგუფს, ჰქონდეთ ეთიკური სტანდარტი.

რაც შეეხება ეთიკის წესების დადგენასა და ეთიკის საბჭოს შექმნასთან დაკავშირებულ საკითხზე პარლამენტის კომიტეტებში არსებულ წინააღმდეგობას, გუგული მაღრაძემ განაცხადა, რომ აზრთა სხვადასხვაობა შეიძლება იყოს იმის შესახებ, თუ როგორ განხორციელდეს ეთიკის სტანდარტის დანერგვა და ეთიკის საბჭოს შექმნა.

„მე მიმაჩნია, რომ ის წინააღმდეგობა, რომელიც ზოგიერთ კომიტეტშია ამ საკითხზე, არაა პრინციპებიდან გამომდინარე. არა მგონია, საქართველოს პარლამენტში იყვნენ ადამიანები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ გარკვეული ეთიკური კოდი არაა საჭირო. გარკვეულ აზრთა სხვადასხვაობა შეიძლება, იყოს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ განხორციელდება და ამის იმპლემენტაცია როგორ მოხდება“, — განაცხადა მაღრაძემ.

„ჯაშუში ტაქსები“ თუ ფსიქოლოგიური მოჩვენებანი?!

„ЯНДЕКС.ТАКСИ“-ს მიმართ ეჭვები ლატვიაშიც გაჩნდა: რას ელოდება საქართველო?

ტაძსის გამოძახებისთვის განკუთვნილი რუსული აპლიკაცია „Яндекс. Такси“ შესაძლოა, რუსეთის სპეცსამსახურების ხელში არსებული იარაღი იყოს, — წერს ლატვიური გამოცემა „Delfi“ ტელეარხ TV3-ზე დაყრდნობით.

ისევე, როგორც რამდენიმე სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაში, რუსული აპლიკაცია ლატვიურ ბაზარზეც დემპინგური ფასებით შევიდა.

აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკის კვლევითი ცენტრის მკვლევარი მარის ცეპურიტისი აფრთხილებს ლატვიის მოქალაქეებს, რომ ამ აპლიკაციის მომხმარებლების პირადი მონაცემები შეესაძლოა, ნებისმიერ დროს კრემლის სპეცსამსახურების ბაზაში აღმოჩნდეს.

„Яндекс“ — აპლიკაციის ჩამოტვირთვა მომხმარებლის მიკვლევის, მისი გადაადგილების მარშრუტებისა და ჩვევების, საცხოვრებელი და სამუშაო ადგილების შესახებ სრული ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას იძლევა. სწორედ ასეთ საკვანძო ინფორმაციას იყენებენ ჩვეულებისამებრ სპეცსამსახურები ადამიანთა გადაბირებისთვის. მსგავსი შემთხვევები უკვე გამოვლინდა უკრაინასა და უნგრეთში, სადაც რუსული კომპანია „Яндекс“-ის სერვისები მონაცემების რუსეთში გადაგზავნაზე გამოიჭირეს“, — ამბობს ცეპურიტისი.

საქმე ისაა, რომ რუსეთში მოქმედი „იაროვაიას კანონის“ თანახმად, ქვეყანაში ბაზირებული ინტერნეტ-კომპანიები, რომელთაც იქ საკუთარი სერვერები გააჩნიათ, ვალდებულები არიან, ყოველგვარი სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე გადასცენ ინფორმაცია შესაბამის რუსულ უწყებებს.

ლატვიის კავშირგაბმულობის სამინისტროში აღიარებენ, რომ „Яндекс. Такси“-ს მუშაობა ბევრ კითხვას ბადებს და აქ ნამდვილად არის სამუშაო სამართალდამცველი ორგანოებისთვის.

თავის მხრივ, „Яндекс. Такси“-ს პრესსამსახურის უფროსი ნატალია ჟურავლიოვა აცხადებს, რომ ლატვიელ მომხმარებლებს არაფერი ემუქრებათ, უკრაინაში წარმოქმნილი პრეტენზიები კი პოლიტიკურ ხასიათს ატარებს.

„კლიენტების პირადი მონაცემების უსაფრთხოება ჩვენი კომპანიის მთავარი პრიორიტეტია. ლატვიაში, ისევე, როგორც ევროკავშირის სხვა ქვეყნებში, „Яндекс. Такси“ და სხვა სერვისები მონაცემთა დაცვის შესახებ ევროკავშირის რეგლამენტს შეესაბამება“, — ირწმუნება კომპანიის წარმომადგენელი.

მისივე მტკიცებით, „იანდექსის“ მმართველობაში რუსი მაღალჩინოსნები არ გვხვდებიან, აქციების საკონტროლო პაკეტის მფლობელი არკადი ვოლოჟია — „იანდექსის“ დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი. რაც შეეხება დანარჩენ აქციებს, ვინ არიან მათი მფლობელები — უცნობია, რადგან ეს ინფორმაცია დახურულია.

ცნობისთვის: 1990 წელს შექმნილი „იანდექსი“ უმსხვილესი რუსული ქსელია ტაქსის მომსახურების სფეროში. 2018 წლის აპრილის მდგომარეობით, იგი რუსეთის, ბელარუსის, მოლდოვას, სომხეთის, საქართველოს, ყირგიზეთის, ყაზახეთისა და უზბეკეთის 120-ზე მეტ ქალაქში ოპერირებდა და საერთო ჯამში 200 ათასი მძღოლი ჰყავდა დასაქმებული.

არადა, თითქმის ყველა იმ ქვეყანაში, სადაც რუსულმა კომპანიამ „ფეხი შედგა“, მას მალევე გაუფუჭდა სახელი. მაგალითად, უკრაინაში „იანდექსი“ 2016 წელს გამოჩნდა, თუმცა უკვე 2017 წლის 16 მაისს მოქალაქეთა პირადი ინფორმაციის გატანის საფრთხის გამო ქვეყნის პრეზიდენტმა მას უკრაინის ტერიტორიაზე საქმიანობა აუკრძალა. სომხეთის ეკონომიკური კონკურენციის დაცვის სამთავრობო კომისიამ კი გასული წლის ოქტომბერში დაადგინა, რომ კომპანია სომხური ბაზრიდან სხვა მოთამაშეების ჩამოშორებას ცდილობდა, კერძოდ, რამდენიმე თვე წაგებაზე მუშაობდა და ამასთან, მძღოლებს თითო მგზავრობაზე 400 დრამს (0.8 დოლარს) უხდიდა. ამის გამო ერევანმა „იანდექსს“ გაფრთხილება მისცა.

რაც შეეხება საქართველოს, რუსული კომპანია პრეტენზიების სამიზნე არაერთხელ გამხდარა, თუმცა ჩვენს ქვეყანაში დღესაც წარმატებით აგრძელებს საქმიანობას.

2016 წელს კონკურენციის სააგენტოში „Яндекс. Такси“-ს ფუნქციონირების შესწავლის მოთხოვნით ორი განაცხადი შევიდა, რომელთაგან ერთი საქართველოს ტაქსის მძღოლთა პროფკავშირის ხელმძღვანელ **ნანა ფილაურს** ეკუთვნოდა.

როგორც „აქცენტს“ კონკურენციის სააგენტოში განუცხადეს, განაცხადი ხარვეზებს შეიცავდა, რის შესახებაც ქ-ნ ფილაურს როგორც მასთან შეხვედრის დროს, ისე წერილობითი ფორმით განემარტა, თუმცა მას შემდეგ სააგენტოს პროფკავშირიდან ჩასწორებული განაცხადი აღარ მიუღია.

მეორე წერილი ტაქსების სერვის „200-200“-ის ხელმძღვანელ ნიკოლოზ ხოფერიას ეკუთვნოდა. როგორც მაშინ ნიკა ხოფერია აცხადებდა, „წესით, „იანდექს ტაქსის“ საქართველოში მუშაობით ხელისუფლება უნდა დაინტერესებულიყო და მისი საქმიანობა შესაბამის უწყებებს უნდა შეესწავლათ, რადგან „იანდექსს“ უმეტეს ქვეყნებში საქმიანობის უფლებას არ აძლევენ, თვლიან რა, რომ ის არა ბიზნესსაქმიანობას, არამედ ჯაშუშურ სამსახურს ეწევა“:

„თუკი კომპანია ბიზნესზეა ორიენტირებული, ის უნდა ფიქრობდეს მოგებაზე და თუ ბიზნესი წამგებიანი აქვს, მაშინ უნდა ვეძებოთ მიზეზი იმისა, რატომ აგრძელებს იგი ამ პირობებში ოპერირებს. ამის დასკვნა შესაბამისმა ორგანოებმა უნდა გააკეთონ. საქართველოში „იანდექს ტაქსის“ აპლიკაცია სპეცსამსახურის არც ერთ თანამშრომელს არ აქვს ჩამოტვირთული: ჩამოტვირთავ აპლიკაციას და სრულ ინფორმაციას ხსნი, პაროლებს ხსნი, მეილებს ხსნი, საუბარს ხსნი, საკუთარი ნებით ყველაფერს მათთვის ხელმისაწვდომს ხდის. ამაში რატომ არ გადაიხდიან (რუსეთის სპეცსამსახურები) ფულს?!“.

გარდა ამისა, კომპანია დემპინგური, წამგებიანი ფასებით ოპერირებდა, ამიტომაც, როგორც გასულ წელს „ფორტუნა“ იუწყებოდა, „იანდექს ტაქსის“ პარტნიორი გახდა თითქმის ყველა დამოუკიდებელი ქართული კომპანია.

„იანდექსით“ ავტომობილის გამოძახება 1 ლარი ღირს, კილომეტრი კი 40 თეთრი ჯდება და ისე გამოდის, რომ მძღოლებს იმდენი ფული აქვთ, ხალხს ურიგებენ. თითო მგზავრზე კომპანია მძღოლს თანხას უმატებს. როცა კომპანიას 57 მილიარდი აქვს, ანუ საქართველოს ბიუჯეტზე ხუთჯერ მეტი, როგორ შეიძლება, მას რომელიმე ადგილობრივმა ბიზნესმენმა კონკურენცია გაუწიოს?! კონკურენციის სააგენტოს ორჯერ მივმართეთ, თუმცა ორჯერ გვითხრეს უარი იმ მიზეზით, „აპლიკაცია არასწორადაა შევსებულიო“. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოს არ აქვს ნება, ამ კომპანიის საქმიანობა შეისწავლოს. მაგალითად, უკრაინის კონტრდაზვერვის სამსახურმა პირადი ინფორმაციის გატანის გამო აკრძალა „იანდექსი“. ეს ხომ ბიზნესი და კომპანია არ არის. ეს არის რუსეთის სპეცსამსახურების ინფორმაციის წყარო და მე რას გავხდები მათთან?!“, — აღნიშნა მაშინ „ფორტუნასთან“ საუბრისას **ნიკა ხოფერიამ.**

კონკურენციის სააგენტოში „აქცენტს“ დაუდასტურეს, რომ „200-200“-ის განაცხადი უწყებაში ორჯერ იყო შეტანილი, თუმცა აღნიშნეს, რომ ორივე განაცხადში ხარვეზები დადგინდა, მესამედ კი კომპანიას სააგენტოსთვის აღარ მიუმართავს.

გარდა ამისა, იმავე 2016 წელს „იანდექსმა“ საქართველოს მოსახლეობის პროტესტი გამოიწვია იმით, რომ ოფიციალურ ვებ-გვერდზე შესულ მომხმარებლებს ქვეყნის რუკა ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარეშე ხვდებოდათ. მოგვიანებით კომპანიამ ეს „ხარვეზი“ გამოასწორა, თუმცა მხოლოდ ნაწილობრივ: საქართველოს რუკას, რომელიც სოხუმისა და ცხინვალის ნაწილებსაც მოიცავს, მხოლოდ საქართველოს ტერიტორიიდან შესული მომხმარებელი ხედავს, დანარჩენ ქვეყნებში, ასევე თავად ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მყოფი ინტერნეტ-მომხმარებლებისთვის კი რუკა უცვლელია.

სადღეისოდ საქართველოში „იანდექს ტაქსით“ მგზავრობის საფასური, საწყის პერიოდთან შედარებით, საგრძნობლად არის გაზრდილი, მაგრამ ქვეყანაში მოქმედ ფასებთან შედარებით, მაინც დაბალია.

რაც შეეხება „ჯაშუშობის“ ბრალდებას, საკითხის შესწავლის გარეშე „იანდექს ტაქსისთვის“ ამის დაბრალება, ცხადია, არასწორი იქნება. თუმცა რადგან საკითხი დღმდე არ არის შესწავლილი, რუსული კომპანიის მიმართ ეჭვები და უარყოფითი დამოკიდებულება ძალაში რჩება.

„აქცენტი“

რა ღირს აფხაზური „ვიზა“ გალელებისათვის

გალში აფხაზური ე.წ. ვიზის ასაღებად მოსახლეობას თითქმის ორმაგი თანხის გადახდა უწევს. როგორც DFWatch-თან საუბარში ადგილობრივები აღნიშნავენ, ზაფხულში „ვიზებზე“ მოთხოვნა საგრძნობლად მატულობს და აფხაზი ჩინოსნებიც ამ გზით ფულის შოვნის შანსს ხელიდან არ უშვებენ.

„ამ სეზონზე თითქმის ყველას ჩამოჰყავს ნათესავები: ზოგს — შვილი, ზოგს — შვილიშვილები, ამისთვის კი აუცილებელია ვიზის აღება, რომელსაც სოხუმში და გალში ქართული (ე.წ. საზღვარგარეთის) პასპორტის საფუძველზე, გარკვეული თანხის სანაცვლოდ გასცემენ. ვიზა ორი სახისაა — 10-დღიანი და 1-თვიანი. გალში 10-დღიანი ვიზის აღება 1800 რუსული რუბლი ჯდება (72 ლარი), სოხუმში კი — 700 (28 ლარი). ერთთვიანი „ვიზა“ გალში 2800 რუსული რუბლი ღირს (112 ლარი), სოხუმში კი - 1400 (56 ლარი)“, — განუცხადა DFWatch-ს გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯის მკვიდრმა რ.ა.-მ.

ადგილობრივები საფასურში სხვაობის მიზეზად კორუფციას ასახელებენ.

„არანაირი სხვაობა გალსა და სოხუმში გაცემულ საბუთებს შორის არ არის, ორივე ადგილას ერთნაირად ხდება ჩაბარება და გაცემის ვადებიც ერთნაირია. მიზეზი მხოლოდ ფულის შოვნაა ქართველების ხარჯზე, რადგან ამ სეზონზე ყველას უნდა, ოჯახის წევრი და ნათესავი სახლში ჩაიყვანოს სტუმრად, ამიტომ ფულის გადახდასაც მარტივად თანხმდებიან. საბუთები ერთ ადგილას, სოხუმში მზადდება, შესაბამისად, გალში რასაც აბარებ, ისევ სოხუმში იგზავნება, დამატებით ჩვენ მიერ გადახდილი თანხა კი ვიღაცის ჯიბეში მიდის“, — აღნიშნა DFWatch-თან საუბრისას გალის მკვიდრმა ლ.ნ.-მ. შეგახსენებთ, რომ ამ ეტაპზე ენგურს გადმოღმა მცხოვრებთათვის, ვისაც აფხაზეთის ტერიტორიაზე აღიარებული სხვა საბუთი (ე.წ. ბინადრობის მოწმობა, წითელი საბჭოთა პასპორტი, „ფორმა 9“) არ გააჩნია, გალის რაიონში მოსახვედრად „ვიზა“ ერთადერთი საშუალებაა.

ამ საბუთის მფლობელებს რუსი მესაზღვრეები პასპორტში დე ფაქტო საზღვრის გადაკვეთის ბეჭედს უსვამენ.

გალში ყოფნის უფლება მხოლოდ „ვიზით“ განსაზღვრულ ვადაშია შესაძლებელი, დროზე ადრე ტერიტორიის დატოვების შემთხვევაში კი უკან დაბრუნება შეუძლებელია. გარდა ამისა, ვადის ამოწურვის შემდეგ შესაძლებელია 10-დღიანი ვიზის ისევ 10 დღით ან ერთი თვით გაგრძელება. „ვიზის“ მფლობელებს გადაადგილების უფლება აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე აქვთ.

http://dfwatch.net

არასრულწლოვანთა დანაშაული

პასუხისმგებლობა ოჯახს, სკოლას და ძალოვან სტრუქტურებს ეკისრება

ბოლო ათწლეულების კატაკლიზმებმა ქართველი საზოგადოება დიდი გამოწვევების წინაშე დააყენა. ე.წ. გარდამავალი პერიოდი დაუსრულებლად გაგრძელდა. ამ პირობებში ყველაზე დაუმსახურებელი და ძლიერი დარტყმა დაუცველმა ფენებმა, მათ შორის, ჩვენმა ბავშვებმა, არასრულწლოვნებმა მიიღეს.

„შიშველი“ სტატისტიკა ყველაფერზე მეტყველებს. მთავარი პროკურატურის ბოლო მონაცემებით, 2016 წელთან შედარებით, არასრულწლოვნების მიერ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის სტატისტიკამ 2017 წელს მოიმატა. საუბარია მკვლელობასა და მკვლელობის მცდელობაზე. პროკურატურისვე ინფორმაციით, სისხლის სამართლებრივი დევნა შარშან 174 არასრულწლოვნის წინააღმდეგ დაიწყო.

შინაგან საქმეთა სამინისტროც აღიარებს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში გატარებული რეფორის მიუხედავად, დანაშაულის პრევენცია სამართალდამცავებისთვის გამოწვევაა. ამ მიზნით, შსს სხვა სახელმწიფო უწყებებთან, საზოგადოებასთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობაზე მიუთითებს; პასუხისმგებლობას იზიარებს, როგორც საგანმანათლებლო სისტემასთან, ასევე აღნიშნავს, რომ მანდატურების ინსტიტუტიც დასახვეწია.

„ადვოკატთა ასოციაციის“ წევრი მიხეილ რამიშვილი გვეუბნება, რომ არასრულწლოვანთა დანაშაულის მხრივ, სავალალო მდგომარეობაა. მისივე თქმით, მომავალი თაობის აღზრდაში პრობლემები გვაქვს, რაშიც პასუხისმგებლობა ოჯახს, სკოლას და ძალოვან სტრუქტურებს ეკისრება:

„ამ პრობლემას სახელმწიფოს მხრიდან კომპლექსური მიდგომა და გაანალიზება სჭირდება, თუ რისგან არის განპირობებული არასრულწლოვანთა მხრიდან გახშირებული დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევების ჩადენა. ამ საკითხზე რეაგირების ოპტიმალური შაულის პრევენციის ცენტრის“ საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. ცენტრი აქტიურად მუშაობს მედიაციის განვითარებასა და დანერგვაზე.

„განრიდება და მედიაცია ეყრდნობა აღდგენითი მართლმსაჯულების კონცეფციას, რომელიც მაქსიმალურად ითვალისწინებს დამნაშავისა და დაზარალებულის ინტერესებს, მიმართულია დანაშაულის პრევენციაზე და ზრუნავს საზოგადოების უსაფრთხოებაზე. პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების მხოლოდ 9 პროცენტმა ჩაიდინა განმეორებითი დანაშაული, რაც საერთაშორისოდ აღიარებული პრაქტიკის გათვალისწინებით წარმატებული შედეგია. ცნობისთვის, პროგრამა წარმატებულია, თუ რეციდივის მაჩვენებელი 20 პროცენტზე ნაკლებია“, — აღნიშნულია ცენტრის მიერ ჩვენთვის მოწოდებულ განმარტებაში.

საშუალება არ არსებობს. აქ კარგი შედეგის მომტანია არა არასრულწლოვანის დასჯა, არამედ დანაშაულის თავიდან აცილება. კომპლექსური ქმედების შემთხვევაში, ორიენტირება სწორედ დანაშაულის მიზეზების აღმოფხვრაზე უნდა იყოს. კერძოდ: ოჯახიდან მოყოლებული სკოლებში უნდა დამკვიდრდეს კანონმორჩილება, მორალი და ღირებულებათა ის ნორმები, რომელიც საზოგადოებისათვის მისაღებია. დასჯის ზომებიდან ფსიქოლოგიურ და პედაგოგიურ დახმარებაზე უნდა გადავიდეთ, როდესაც პრიორიტეტი მიენიჭება არასრულწლოვნის პიროვნებას, დამნაშავეობის მიზეზებსა და თავიდან აცილების მექანიზმებს. ეს ყველაფერი ხელისუფლების მხრიდან უყურადღებოდ არის დატოვებული“.

საერთო და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ადვოკატის თქმით, ძალოვანი სტუქტურების წარმომადგენლები, სასამართლოები და სამართლის სპეციალისტები უნდა აცნობიერებდნენ, რომ არასრულწლოვნები მიუხედავად მათი სტატუსისა (დაზარალებული, მოწმე, ბრალდებული და მსჯავრდებული), განსხვავდებიან ზრდასული პირებისაგან:

„მართლმსაჯულების ყველა ეტაპზე, რომელშიც მოზარდი მონაწილეობს, უპირველესად, მისი საუკეთესო ჭეშმარიტი ინტერესები უნდა გავითვალისწინოთ. საუკეთესო ინტერესის პრინციპი მოითხოვს, არასრულწლოვნის კავშირებს საზოგადოებასთან, მის ოჯახში სტაბილურობას და მისი განვითარების საერთო დონეს. საქართველოს კანონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი მოიცავს არასრულწლოვნის ღირსების დაცვას. მას პროცესის ყველა ეტაპზე უნდა მოეპყრან განსაკუთრებული ყურადღებით, მხედველობაში უნდა იყოს მიღებული მისი ასაკი, მისი ხელახალი აღზრდისათვის ხელშეწყობის აუცილებლობა. მოზარდის მიმართ სისხლის სამართლის პროცესის განმავლობაში სავალდებულოა, არასრულწლოვნის უფლებათა საერთაშორისო გარანტიების სრული დაცვა“.

რაც შეეხება პრევენციას, რამიშვილის თქმით, ეს საგანმანათლებლო, ფსიქოლოგიურ და სოციალურ ასპექტს მოიცავს:

„საგანმანათლებლოა მოზარდებისთვის ისეთი ინფორმაციის გადაცემა, რომელიც ხელს უწყობს ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, მისი თვითშემეცნებისა და იდენტურობის ჩამოყალიბებას. ხოლო ფსიქოლოგიური ასპექტის მიზანია, არასრულწლოვნის ადეკვატური თვითშეფასების, კონფლიქტების მოგვარების, გადაწყვეტილების მიღების და სხვა ამგვარი უნარების ჩამოყალიბება. სოციალური ასპექტი არასრულწლოვნის სოციუმთან ადაპტაციის გაადვილებაა, რასაც საქართველოს სოციალური-პოლიტიკური მდგომარეობა ვერ პასუხობს. იმაში გამოიხატება, რომ მოზარდებში დიდია ქურდობის, ხულიგნობის, ნარკოტიკების უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვის პროცენტული მაჩვენებელი, მკვლელობა და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება.

დადებითი შედეგი უნდა გამოიღოს უბნის ინსპექტორების ინსტიტუტის აღდგენამ. უბნის ინსპექტორმა აუცილებლად უნდა იცოდეს, მის სამოქმედო ტერიტორიაზე რამდენი მოზარდი ცხოვრობს, ვინ სად სწავლობს ან ...დაწანწალებს, უნდა იცოდეს, რა მისწრაფება აქვთ ამ მოზარდებს, რა აინტერესებთ. უბნის ინსპექტორს უნდა ჰქონდეს სისტემატური ურთიერთობა არასრულწლოვნის ოჯახის წევრებთან, რაც ხელს შეუწყობს ე.წ. რთული ბავშვების გამოვლენას. არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის პრევენცია არის უმნიშვნელოვანესი ასპექტი საზოგადოებაში ზოგადად დამნაშავეობის აცილებისთვის. იმისათვის, რომ ეს იყოს ეფექტური, აუცილებელია, მთელი საზოგადოების მონდომება და ძალისხმევა ბავშვთა ჰარმონიული განვითარების მიზნით. არასრულწლოვანთა აღზრდის პრობლემა გლობალურად უნდა იქნეს გააზრებული. პასუხისმგებლობა უნდა გაინაწილოს როგორც ოჯახმა, ასევე სასწავლო დაწესებულებებმა, ახალგაზრდულმა, სპორტულმა, კულტურულმა ორგანიზაციებმა და ძალოვანმა სტრუქტურებმა“.

შავლეგ ბერიძე

„ამღვრეული მდინარის სათავეებთან“

მურთაზ დ. პირველად 14 წლისა დაპატიმრეს. 90-იანების დასაწყისის ე.წ. პრობლემური ოჯახიდან პირდაპირ ჭუჭყიან საკანში მოხვდა. მას შემდეგ კიდევ ორჯერ მოიხადა სხვადასხვა მუხლით სასჯელი. ბოლოს ციხიდან 2008 წელს გამოვიდა ისე, რომ საერთოდ აღარ ახსოვდა „თავისუფლებაზე“ როგორ უნდა ეცხოვრა. ხელობისადმი მიდრეკილებამ გადაარჩინა, რომ სტაჟიან რეციდივისტად არ ჩამოყალიბებულიყო:

„თავიდან არასრულწლოვნებში რომ მოვხვდი, ე.წ. მაყურებლად დამნიშნეს. ჭკუა დიდად არ მებადა, მაგრამ ფიზიკურად სხვებზე ძლიერი ვიყავი. კარგი ცხოვრება არც ოჯახში მქონია და მაშინ დიდ განსხვავებასაც ვერ ვხედავდი, სად უფრო უკეთესად ვიქნებოდი. ისედაც ჩამოუყალიბებელი ფსიქიკაც იქვე დამენგრა. მერე რაღაც უაზრობებზე კიდევ ორჯერ მოვიხადე სასჯელი, რადგან გამოსვლის მერეც თავი ისევ ციხეში, ხშირად უარესში მეგონა. მობილურმა ტელეფონებმა სულზე მომისწრო. შეკეთებისადმი ინტერესი რომ არ მქონოდა, ალბათ, 2008 წლის მერეც ხელის აუკანკალებლად შემაბრუნებდნენ. ნებისმიერი ადამიანი ცოდვაა ციხეში და, მითუმეტეს, ჩემნაირი არასრულწლოვანი. ნათქვამია, ბავშვობის ერთი მზიანი დღე მთელ დანარჩენ ცხოვრებას უტოლდებაო და როგორია, დღე კი არა, წლები ცხრაკლიტულში გაატარო. პატარაობიდან კოშმარების მეტი არაფერი მომყვება. სიფხიზლისას ჩემზე კარგი ბიჭი არავინაა (ასე მეუბნებიან), მაგრამ როცა დავთვრები, საკუთარ თავს აღარ ვეკუთვნი!“

მერაბ ლ. იხსენებს: „11 წლის ვიყავი, დედა რომ სიმსივნით გარდამეცვალა. მანამდე კერძო სკოლაში დავდიოდი, წრეებზეც, ყველაფერი მქონდა. მამაც მყავს და ბებიაც, მაგრამ უდედოდ გამიჭირდა. ვალების გამო ბინა გასაყიდი გაგვიხდა, ახლა ნაქირავებში ვცხოვრობთ. მეგობრები ქუჩაში გავიჩინე და დალევა დავიწყე. მთვრალი რომ მივდიოდი, ჩემები მიბრაზდებოდნენ და მეც ისევ გარეთ გამოვრბოდი. 12 წლის ვიყავი, მეგობართან ერთად გასაქურდად რომ წავედი“.

არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ზოგად მენეჯმენტს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრი“ ახორციელებს. პროგრამის შედეგად 14-დან 21 წლამდე ასაკის 2733 ახალგაზრდა სისხლისსამართლებრივ დევნას განერიდა. მედიაცია კი, როგორც აღდგენითი მართლმსაჯულების ერთ-ერთი საუკეთესო ინსტრუმენტი, სსიპ „დანა-

ბათუმში ახალგაზრდა მამაკაცი დაჭრეს

ბათუმში, შავშეთის ქუჩაზე, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ახალგაზრდა მამაკაცი დანით დაჭრეს.

დაშავებული ბათუმის სამედიცინო ცენტრშია მოთავსებული.

ექიმების განცხადებით, მამაკაცს ჭრილობა ზურგის არეში აღენიშნება, თუმცა მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

გლდანში „ბეკოს“ მაღაზია გაქურდეს

წინასწარი ინფორმაციით, საყოფაცხოვრებო ტექნიკის მაღაზიიდან წაღებულია 30-მდე მობილური ტელეფონი. მათი ღირებულება რამდენიმე ათას ლარს აღწევს. სავარაუდოდ ქურდები არასრულწლოვნები იყვნენ შემთხვევა გუშინ, დილის 6 საათზე მოხდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე სისხლის სამართლის საქმე 177-ე მუხლით აღიძრა, რაც ქურდობას გულისხმობს.

უწყების ცნობით, დადგენილია დანაშაულის ჩამდენი პირი, ამ დროისთვის მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები.

მაშველმა გოგონა ზღვაში დახრჩობას გადაარჩინა

გონიოში მაშველმა მირიან გვიანიძემ 8 წლის გოგონა ზღვაში დახრჩობას გადაარჩინა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, გოგონა ზღვაში 100-მეტრის სიღრმეში იყო შესული და დახმარებას ითხოვდა.

მათივე ცნობით, ბავშვის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

ავი სული ჩვენს პოლიტიკაში

ბუნებრივია, ამ თემის განსახილველად ჯერ უნდა დადგინდეს თავად პოლიტიკურის ცნება. ამ მიზნით მივმართე გამოჩენილი გერმანელი მოაზროვნის, სამართალმცოდნისა და პოლიტოლოგის კარლ შმიტის (1888-1985) ამავე სახელწოდების წიგნს – „პოლიტიკურის ცნება“ (ტიუბინგენი, 1927). შევეცდები, მოკლედ გადმოვცე ამ წიგნის დედააზრი.

შმიტის სახელგანთქმული ფორმულის მიხედვით, პოლიტიკურის კრიტერიუმი გახლავთ „განსხვავება მეგობარსა და მტერს შორის“. იგი ძველი პოლიტიკური ცნების ადგილს იკავებს, რომელიც სახელმწიფოებრიობას პოლიტიკურს უთანაბრებდა. ეს შეხედულება მე-20 საუკუნეში უარყოფილ უნდა იქნეს, რადგან სახელმწიფო საზოგადოებასთან გადაჯაჭვულობაში პოლიტიკურის მონოპოლიას უკვე აღარ ფლობს. პოლიტიკური შესაძლებელია, ნებისმიერი სფეროდან იყოს მიღწეული, სულერთია, იქნება ეს მეურნეობა, სამართალი, განათლება, ხელოვნება თუ რელიგია. სადაც კი ადამიანები ასე ინტენსიურად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული ან ერთმანეთისაგან დაშორებული, ექვემდებარებიან მეგობრისა და მტრის განსაზღვრებას – იქ ყოველთვის წარმოჩენილია პოლიტიკური. მეგობარსა და მტერს შორის განსხვავება წარმოადგენს პოლიტიკურის კრიტერიუმს, ე. ი. როგორც საბოლოო, ზღვრული განსხვავების ნიშანს. იგი ამით ანალოგიურია მორალის კრიტერიუმებისა (კეთილი – ბოროტი), ესთეტიკისა (ლამაზი – მახინჯი) ან ეკონომიკისა (რენტაბელური – არარენტაბელური). მტერი არის არსებითად სხვა, არსებითი უარყოფა პოლიტიკური არსებობისა. მისი განსაზღვრება არ შეიძლება არც ნორმატიულად, არც სულიერად. შმიტის „პოლიტიკური ცნება“ მტერში გულისხმობს საზოგადოებრივ და არა პირად მტერს.

მტერი არის ადამიანების მებრძოლი ერთობლიობა, ამასთან, ბრძოლაში იგულისხმება არა მარტოოდენ კონკურენცია საქონლის მოპოვებაში, ან იდეებისა და სიმბოლურ ჭიდილში, არამედ შესაძლებლობა, ან სინამდვილე ფიზიკური მკვლელობისა. ჭეშმარიტი პოლიტიკური თეორია, შმიტის მიხედვით (ისევე, როგორც ფრიდრიხ გოგარტენის მიხედვით, რაზეც ვწერდი ამასწინდელ „საქართველოს რესპუბლიკაში“), უნდა ითვალისწინებდეს ადამიანის „ბოროტებას“ და მისგან მომდინარე საშიშროებას. მისი გაუქმება შეუძლებელი უნდა იყოს, მეგობარ-მტრის-პოლიტიკის საწინააღმდეგო პოლუსს ლიბერალიზმი წარმოადგენს, თანამიმდევრული სისტემა დეპოლიტიზებისა, რომელიც პოლიტიკურ ცნებებს ან „ეკონომიკური“, ან „სულიერის“ მხრივ მათ შინაარსს აცლის.

პოტენციურად ყოველმა კონფლიქტმა შესაძლებელია, პოლიტიკური კამათის ინტენსივობის ხარისხს მიაღწიოს. ყოველი წვრილმანის გამო შესაძლებელი ხდება ისეთი დავა წარმოიშვას, რომ მიიღწევა „პოლიტიკური საფეხური“ და დაფუძნებული ხდება „პოლიტიკური ერთიანობის ახალი სუბსტანცია“. პოტენციურად შეიძლება, ყველაფრის ისე პოლიტიზება, რომ ამის გამო, სერიოზული შემთხვევისას ომი ან სამოქალაქო ომი გაჩაღდეს.

> ეს მცირე ამონაწერი კარლ შმიტის წიგნიდან არსებულ ხელისუფლებას თვალს უნდა უხელდეს იმ დიდ საშიშროებაზე, რის წინაშეც იგი იმყოფება. **კლასიკური მტრის სახეა ე.წ. „ნაციონალები“ და მისი მონათესავე ე.წ. პარტიები და „არასამთავრობოები“. არადა, რა ადვილად შეეძლო ხელისუფლებას მათი ციხეში გამომწყვდევა, რადგან უმეტეს მათგანს დიდი დანაშაული აძვს ჩადენილი საზოგადოების წინაშე. თუ ეს მართალია, რომ აშშ-მა და საერთოდ დასავლეთმა, ჩვენს მთავრობას ხელი გადაუგრიხა და ეს დამნაშავეები დეპუტატებად პარლამენტში დაასმევინა, მაშინ რომელ „დამოუკიდებლობაზე“ გავყვირით და რომელ „დამოუკიდებლობას“ ვზეიმობთ?!**

არსებობს გერმანელი პოლიტოლოგის **დოლფ შტერნბერგერის** საინტერესო წიგნი სათაურით – **„პოლიტიკის სამი ფესვი“** (ფრანკფურტი მაინზე, 1978), სადაც ავტორი პოლიტიკას განიხილავს სამ განზომილებაში – „პოლიტოლოგიკურად“, „დემონოლოგიკურად“ და „ესქატოლოგიკურად“. ეს სამი ლოგიკა მკვეთრად განსხვავდება ურთიერთისგან. პირველს მიზნად აქვს დასახული ზრუნვა საზოგადო კეთილდღეობისათვის სახელმწიფოში. ამის თავკაცად ავტორი არისტოტელეს მიიჩნევს. მეორე, დემონოლოგიკა მიზნად ისახავს საკუთარი თავის დამკვიდრებას (დემონის პოზიცია), ბრძოლას მოწინააღმდეგეებთან და მათ დაქვემდებარებას, რაც, საბოლოო ჯამში, მის გაბატონებას ემსახურება. აქ ავტორი მაკიაველს ეყრდნობა. მესამე, ესქატოლოგიკა, რომლის მამამთავრად ავგუსტინეა მიჩნეული, მიზნად ისახავს წმინდანთა შეკრებას, რომლებიც სრულიად განსხვავებული, იმქვეყნიური, ჰარმონიული სამყაროსკენ ილტვიან.

თვალი გადავავლოთ ჩვენს, ე. წ. დამოუკიდებლობის 30-წლიან ისტორიას. ყველა ობიექტური მკითხველი დამეთანხმება, რომ ამ ხნის მანძილზე საქართველოს ნებისმიერი ხელისუფალი მისდევდა დემონოლოგიკას, ე.ი. საკუთარი თავის დამკვიდრებას, ბრძოლას მოწინააღმდეგეებთან და მათ დაქვემდებარებას, რაც, საბოლოო ჯამში, მათ გაბატონებას ემსახურებოდა. ხელისუფლის ასეთი პოზიცია საზოგადოებაში სამართლიანად იწვევდა წინააღმდეგობის მოძრაობას. წინააღმდეგობის სამართლის თაობაზე ფართოდ მეტყველებს გერმანული თეოლოგიური ენციკლოპედია (ფრაიბურგი 1986, ტ. X) ბიბლიაზე დაყრდნობით, სადაც მრავალი ადგილია მოყვანილი ძველი აღთქმიდან და ასევე სახარებიდან („საქმენი მოციქულთა“ 4, 19; 5, 29. იოანეს გამოცხადება 13). სამწუხაროდ, ასეთი სამართლიანი წინააღმდეგობის მოძრაობა ჩვენში ერთ დროს სისხლიან სამოქალაქო ომში გადაიზარდა.

ამქვეყნად შემთხვევით არაფერი ხდება. ჩვენ ვართ მემკვიდრენი საკმაოდ მღვრიე წარსულის, განსაკუთრებით ჩვენი გვიანდელი შუა საუკუნეების. რას არ იხილავთ იქ! არსებობს **დონ კრისტოფორო დე კასტელის** ალბომი, სადაც მის ჩანახატებს ასეთი მინაწერები ახლავს: **„მყიდიან ბავშვთან ერთად, წყეულო სატანა!“; „ბავშვების ბაზარი ქობულეთის მოედანზე, გურიის პროვინციაში. მატუტა ჩესნერია საკუთარ დედას ჰყიდის“**.

ამიტომ იყო, რომ **იოჰან გოტფრიდ ჰერდერი** თავის **„იდეებში კაცობრიობის ისტორიის ფილოსოფიის შესახებ“** (1784-1791) საქართველოზე შემდეგს იუწყებოდა: **„სავალალოა ქრისტიანული საქართველოს ბედი. მასში არის ეკლესიები და მონასტრები, არიან პატრიარქები, ეპისკოპოსები და ბერები; ქალები – ლამაზები, მამაკაცები – გულადნი; და მაინც მშობლები ჰყიდიან შვილებს, ქმრები – ცოლებს, თავადები – ყმებს, მორწმუნენი – მღვდლებს. უცნაური ქრისტიანობა სუფევს ამ მხნე, უნდო, მტაცებელ ადამიანთა შორის“**.

მაგრამ, რად გვინდა ჰერდერი, როდესაც ჩვენივე **დავით გურამიშვილი** შემდეგს გვამცნობს:

შეიქმნა დიდი მტერობა,
თქმა ერთმანერთის ძვირისა,
ამპარტავნობა და შური,
ურცხვად გატეხა პირისა;
ავაზაკობა, ქურდობა,
გზებზე დასხდომა მზირისა,
ტყვეობა, მოკვლა, ტაცება
ქვრივთა, ობოლთა, მწირისა!

როდესაც ვსაურობთ ისტორიის მსვლელობასა და ეროვნულ ცნობიერებაზე ამ მსვლელობის ზემოქმედების შესახებ, უნდა ვიცოდეთ, რომ ამ ცნობიერებისათვის ისტორიული წარსული არ არის მკვდარი წარსული, არამედ წარმოადგენს ცოცხალ ძალას, რომელიც ზემოქმედებს აწმყოზე და განსაზღვრავს მომავალს. საქვეყნოდ აღიარებული ფრანგი ფილოსოფოსის **ანრი ბერგსონის** მიხედვით, ისტორია მსგავსია თოვლის ზვავისა, რომელიც მოგორავს და სულ უფრო და უფრო იზრდება და ინარჩუნებს თავის თავში ყოველივე გზად შეძენილს. ამიტომ არის, რომ მრავალი მოაზროვნე განიხილავს რა ერის სულს ან სულაც კაცობრიობის მეხსიერებას, ბერგსონის გამოთქმით, **„კოსმიურ მეხსიერებას“**, იმ დასკვნამდე მიდის, რომ **„წარსული შენარჩუნებულია აწმყოში“** (იხ. **სემიონ ფრანკი, ნათელი ბნელში,** პარიზი 1949).

სამწუხაროდ, დღესაც ეს ავი სულია გაბატონებული ჩვენს პოლიტიკაში და თითქოს უძლურია ქართველ მოწამეთა მიერ ჩვენ სახსნელად ღვთის მიმართ აღვლენილი ღაღადისი. დიდი ფიზიოგნომიკობა არ არის საიჭრო, რომ დაინახო პარლამენტში დასმული სააკაშვილისტების ბოღმით გადაღმეჭილი სახეები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათ ჩააბარეს მოზარდებს შორის მომხდარი მკვლელობის გამოძიება. ხომ წარმოგიდგენიათ, ამ ბოღმით მოსულნი ხელისუფლებაში რა ჯოჯოხეთს დაატრიალებენ საქართველოში?! ეს ხელისუფლება კი ექვსი წლის მანძილზე დუმს, თვალებს იბრმავებს ან მათთან გარიგებაშია. კაცმა რომ თქვას, ჯანდაბას მათი თავი, მაგრამ ჩვენ რა დავაშავეთ?! ასეთი საზიზღარი პოლიტიკით ხელისუფლებას საქმე სამოქალაქო ომამდე მიჰყავს, ხოლო რა შედეგის მომტანი იქნება ეს საქართველოსთვის?! ვშიშობ, ისე არ დავასრულოთ, როგორც **ზურაბ ავალიშვილი** ასრულებს რუსულად დაწერილ წიგნს **„საქართველოს დამოუკიდებლობაზე“: „იმავე დღეს, 1921 წლის 25 თებერვალს, საბჭოთა ჯარები შევიდნენ ტფილისში. მათ წინ მოუძღოდათ თეთრ ცხენზე ამხედრებული ერთ-ერთი ქართველი კომისარი წითელი დროშით. მის გვერდით, უხილავად, გაძვალტყავებულ ჯაგლაგზე, მოემართებოდა ჩონჩხი ძონძებში, ნგრევის ცელით ძვლიან ხელში“**.

ან ჩვენს ეპოქასთან უფრო ახლო (რაც წარსულშიც ხშირად მომხდარა!), **„კეთილშობილური მიზნით“**, რათა ქართველებმა სამოქალაქო ომში ერთმანეთი არ ამოხოცონ, თბილისში შემოვა თურქული ჯარი ქართველი მუსლიმით სათავეში. მას ხელთ ეჭირება წითელი დროშა, მასზე – ნამგალა მთვარე.

ვიქტორ რცხილაძე

ჯონსონის ადგილს ჯერემი ჰანთი დაიკავებს

დაუნინგ სტრიტ 10-ის გადაწყვეტილებით ბრიტანეთის საგარეო უწყების ახალი ხელმძღვანელი ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი ჯერემი ჰანთი იქნება. პრემიერ-მინისტრ ტერეზა მეის განცხადებით, დედოფალი ელისაბედ მეორე ჯერემი ჰანთის კანდიდატურის დამტკიცებას დათანხმდა. „ბრექსიტთან“ დაკავშირებით განსხვავებული პოზიციის გამო, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ბორის ჯონსონმა 8 ივლისს თანამდებობა დატოვა.

თურქების „საძმო“ უკანონოდ გამოცხადდა

გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი ორგანიზაცია Osmanen Germania BC უკანონოდ გამოაცხადა. ორგანიზაცია თურქეთიდან გადასახლებულმა როკერებმა და მოკრივეებმა შექმნეს და თავს „საძმოს“ უწოდებენ. მინისტრი ჰორსტ ზეეჰოფერის მიერ ხელმოწერილ განცხადებაში ნათქვამია, რომ ორგანიზაცია სერიოზულ საფრთხეს უქმნის ცალკეულ პირთა ინტერესებს და ფართო საზოგადოებას. ამასთან ორგანიზაციის წევრების სახლებში სამართალდამცავებმა ჩხრეკა ჩაატარეს. ძალოვნები აცხადებენ, რომ ორგანიზაციის ქმედებები კანონსაწინააღმდეგოა.

პუტინი-ტრამპის სამიტის ძირითადი თემა...

„სირიასა და უკრაინაში არსებული სიტუაცია ტრამპი პუტინის მოლაპარაკებების ძირითადი თემები იქნება“, – განუცხადა Sky News Arabia-ს აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ. სახელმწიფო მდივნის თქმით, ვაშინგტონი ყველა მხარესთან მუშაობს, რათა აიძულოს რუსეთი, სირია და ირანი, შეასრულონ სირიასთან მიმართებაში დადებული პოლიტიკური შეთანხმებები და სირიის თემაზე მოლაპარაკებებმა კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარების ახალი კონცეფციის შემუშავებამდე უნდა მიიყვანონ მხარეები. პომპეომ რუსეთი შეთანხმებების დარღვევაში დაადანაშაულა. „ჩვენ გვქონდა შეთანხმება რუსეთთან, რომ ის დეესკალაციის შეთანხმების ფარგლებში, სირიის სამხრეთით ოპერაციას არ ჩაატარებდა და მათ ეს შეთანხმება დაარღვიეს. სამხრეთ სირიაში ახლა საკმაოდ რთული სიტუაციაა“, – აცხადებს პომპეო.

გიორგი კალანდია: გარდა საჭმლის კეთებისა, გვაქვს დიდი სამუზეუმო კულტურაც!

პარიზი – „ლუვრი“, მადრიდი – „პრადო“, ლონდონი – „ნაციონალური გალერეა“, სანკტ-პეტერბურგი – „ერმიტაჟი“. პირველი, რასაც ქალაქის დათვალიერებისას ტურისტი აკეთებს, მიდის მუზეუმში და ქვეყნის კულტურასა თუ ისტორიას ეცნობა. ტურიზმის განვითარებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი თუ არა, ერთ-ერთი გადამწყვეტი სწორედ სამუზეუმო მიმართულებაა. ეს უკანასკნელი კი ტურისტულად ასეთი მიმზიდველი საქართველოსთვის, ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში (განსაკუთრებით თბილისში) არაერთი კეთილმოწყობილი მუზეუმია, როგორც ირკვევა უცხოელ ტურისტებში ის არც ისეთი პოპულარულია.

„ხელოვნების სასახლის“ დირექტორმა გიორგი კალანდიამ „კომერსანტთან“ დღეს არსებულ ვითარებაზე, მთავარ გამოწვევებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. მისი თქმით, მუზეუმი, როგორც ტურიზმი, საქართველოში სათანადოდ განვითარებული არ არის და ამ მხრივ ყველაზე დიდი პრობლემა სარეკლამო კამპანიასა და მენეჯმენტშია.

„როდესაც ჩადიხარ ამსტერდამის აეროპორტში, აუცილებლად შეგხვდება რემბრანტის ნახატების ასლები, ესპანეთში პიკასოს, პარიზის აეროპორტი, რკინიგზის სადგური თუ მეტრო ბოლოს აჭრელებული იყო დელაკრუას ნახატებით. საქართველოში ასეთი რამ არ ხდება. სადმე შეგხვედრიათ ფიროსმანის, ახვლედიანის ნახატი?! – არა.

ერთადერთი პეტრე ოცხელია, რომელიც ბოლო პერიოდში აქტიური სარეკლამო კამპანიის წყალობით უცებ გაიცნო საზოგადოებამ. მანამდე ამ მხატვარზე უმრავლესობას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა. დღეს კი ოცხელის სანახავად მუზეუმში სპეციალურად მოსულმა ტურისტების რაოდენობამ იმატა. მივედით იმ დასკვნამდე, რომ საიდუმლოს გასაღები სარეკლამო კამპანიების აუცილებლობაში და მენეჯმენტშია. ამ გზით ტურისტისთვის მხოლოდ ხინკალი და ხაჭაპური არ იქნება საქართველო. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ქართული ტაძრების პოპულარიზაციაც, რაც ხდება კიდეც, მაგრამ ჩვენ ტურისტებს უნდა ვაჩვენოთ, რომ გარდა ლოცვისა და გარდა საჭმლის კეთებისა, გვაქვს კიდევ ძალიან დიდი სამუზეუმო კულტურა.

რაც შეეხება უშუალოდ დღეს არსებულ ვითარებას, ცნობილია, რომ „ხელოვნების სასახლე“ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მუზეუმია. მიზეზი მარტივია – მუზეუმში მისულ დამთვალიერებელს გარდა ისტორიული ნიმუშებისა, დახვდება არაერთი საინტერესო, საგანმანათლებლო ღონისძიება. თუმცა ციფრები აჩვენებს, რომ ერთ-ერთი გამორჩეული მუზეუმი საქართველოში, ვიზიტორთა ნაკლებობას მაინც განიცდის.

„მიუხედავად იმისა, რომ 2014 წლის შემდეგ (ამ წლიდან მიეცა მუზეუმს საკუთარი საგამოფენო დარბაზი) სხვადასხვა აქტივობის შედეგად იმატა ვიზიტორთა რაოდენობამ; **ასევე მიუხედავად იმისა, რომ გვეხმარება „Google“-ის კულტურული ისტორიის წევრობაც და ვართ პირველი ქართული მუზეუმი, ვინც „ევროპა ნოსტრას“ ჯილდო მოიპოვა, უცხოელი ტურისტების ნაკლებობას ძალიან განვიცდით. არასეზონურ პერიოდში ერთ დღეში „ხელოვნების სასახლეს“ სტუმრობს 350-მდე ვიზიტორი, საიდანაც 90% ადგილობრივი მცხოვრებია. რაც ერთი მხრივ კარგია, მაგრამ მეორე მხრივ, ჩანს, როგორი არაპოპულარულია მუზეუმი უცხოელ ტურისტებში. რა თქმა უნდა, ტურისტები ძირითადად დადიან ეროვნულ გალერეში (თუმცა, არც მათი რიცხვია დიდი), მაინც გავმეორდები და ვიტყვი, რომ ჩვენ არაერთი საინტერესო მუზეუმი გვაქვს, რასაც სჭირდება პოპულარიზაცია“,** –განმარტავს გიორგი კალანდია.

რაც შეეხება უახლოეს მომავალს, როგორც „ხელოვნების სასახლის“ დირექტორი ამბობს, – ძალიან მალე, პეტრე ოცხელის ნახატების მსგავსად, ქალაქის ქუჩებში სვიმონ დადიანის სარეკლამო კამპანიაც დაიწყება.

„თუ ჩვენ პარიზში ყოფნისას ვახერხებთ „ლუვრში“ წასვლას, რატომ არ მივდივართ ქართულ მუზეუმებში?! ე.ი. პრობლემა მენეჯმენტშია. რეკლამაში მარტო ხინკალს არ უნდა ვხედავდეთ ან იმას თუ, როგორ ავიღოთ სესხი. ლადო გუდიაშვილიც უნდა გვხდებოდეს ქუჩაში და როგორც კი შეგხვდება, აუცილებალად მოგვინდება მისი ორიგინალის ნახვა. პარტნიორების მხარდაჭერით, სულ მალე ვაპირებთ აქტიური საინფორმაციო და სარეკლამო კამპანიის დაწყებას. ასევე პარიზიდან ჩამოვიტანეთ ქართველ მოდილიანად წოდებული მხატვრის, სვიმონ დადიანის უდიდესი მემკვიდრეობა და უნიკალური კოლექცია. ვგეგმავთ, რომ მისი ნახატების ასლები დიდ აბრებზე გამოიფინოს და დარწმუნებულები ვართ, ოცხელის მსგავსად დადიანიც ძალიან პოპულარული გახდება“.

სალომე ლემონჯავა

აჭარა ესტონელი ჟურნალისტების ობიექტივში მოხვდა

აჭარის გაცნობა უცხოელი ჟურნალისტებისთვის გრძელდება. ამჯერად, აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის მოწვევით რეგიონს ესტონელი ჟურნალისტები სტუმრობენ. ისინი აჭარის ტურისტულ პროდუქტებსა და სერვისებს ეცნობიან. მედიატურის მონაწილეებმა უკვე მოინახულეს ბათუმის ძირითადი ტურისტული ღირშესანიშნაობები, დაესწრნენ დელფინების შოუს და დაეგემოვნეს ადგილობრივი კერძები ქართული ფოლკლორის თანხლებით.

ესტონელი ჟურნალისტები გონიო-აფსაროსის ციხე-მუზეუმსა და ეთნოგრაფიულ მუზეუმს „ბორჯღალოს“ ესტუმრებიან. შემდეგ კი გზას მთიან აჭარაში გააგრძელებენ, სადაც ადგილობრივ ღვინის მარნებს, ტურისტულ ღირსშესანიშნაობებსა და კულინარიულ მასტერკლასებს გადაიღებენ. ჟურნალისტების ობიექტივში მოხვდება ბათუმის ბოტანიკური ბაღიც.

სამორინე „ველმონდის“ შეჩერებას ითხოვენ!

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური სასტუმრო და სამორინე „ველმონდის“ (ყოფილი „ლეო გრანდი“) შენობის ექსპლუატაციის შეჩერებას მოითხოვს.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სპეციალისტებმა, 2018 წელს სასტუმროსა და სამორინეში სახანძრო უსაფრთხოების მიზნით, სამჯერ განახორციელეს (დეტალური, საკონტროლო და მიზნობრივი) სახანძრო-ტექნიკური შემოწმება. გაიცა 43 რეკომენდაცია, რომელთა უმეტესობა არ შესრულებულა.

სპეციალისტების დასკვნით, შენობაში არ არის დამონტაჟებული კვამლსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები, რაც ხანძრის შემთხვევაში, შენობაში მყოფ ადამიანებს არ უტოვებს უსაფრთხო ადგილას ევაკუაციისა და გადარჩენის შესაძლებლობას. გასული წლის ხანძრის შეფასების შედეგებმა აჩვენა, რომ ადამიანთა დაღუპვის ძირითადი მიზეზი, სწორედ კვამლსაწინააღმდეგო სისტემების არარსებობა გახდა.

კვლავ ვერ ხერხდება სამშენებლო კონსტრუქციების ცეცხლმედეგობისადმი დადგენილი ნორმების რეალიზება, რაც ხანძრის შემთხვევაში ცეცხლის სწრაფად გავრცელების საშიშროებას ქმნის. შენობაში არ შექმნილა საევაკუაციო გზებისთვის დამატებითი ინფრასტრუქტურა და გაურკვეველია, როდის დამონტაჟდება სართულების დამაკავშირებელი გარე საევაკუაციო კიბე.

ეს დარღვევების მცირედი ჩამონათვალია, რომლის გამოსწორებისთვის სასტუმროს ადმინისტრაციას არაერთხელ მიეცა გონივრული ვადა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, სპეციალისტების დასკვნის საფუძველზე, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაკმაყოფილებამდე, დაუშვებლად მიიჩნევდა სასტუმრო და სამორინე „ველმონდის“ შენობის ექსპლუატაციაში შესვლას. თუმცა, სასტუმროს ადმინისტრაციამ, მიმდინარე წლის 17 მაისს, სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნისა და 2017 წლის 24 ნოემბერს სასტუმროში მომხდარი ხანძრის შედეგების სრული იგნორირებით, განაახლა შენობის ექსპლუატაცია.

სასტუმროს ადმინისტრაციამ სამჯერ შემოწმებისა და დაჯარიმების მიუხედავად, დღემდე ვერ წარმოადგინა კონკრეტული გეგმა, როგორ აპირებს სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფას შენობაში. სასტუმროსა და სამორინეში სახანძრო უსაფრთხოების კუთხით არსებული საგანგაშო მდგომარეობა, უმნიშვნელო ხანძრის შემთხვევაშიც კი, სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის ადამიანების სიცოცხლეს.

ჰოლივუდის ლოკაციის მენეჯერები და პროდიუსერები საქართველოში არიან

2018 წლის 10-დან 17 ივლისის ჩათვლით, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის „გადაიღე საქართველოში“ ფარგლებში საქართველოს, კინოგადაღებების კუთხით ქვეყნის პოტენციალის შესასწავლად ცნობილი ამერიკელი ლოკაციის მენეჯერები და პროდიუსერები სტუმრობენ.

ცნობილი ამერიკელი კინომწარმოებლების წარმომადგენლები ე.წ „ლოკაციის მენეჯერები“, რომლებსაც ისეთ ფილმებზე აქვთ ნამუშევარი როგორებიცაა: „Momentum“, „The Air breathe“, „The Patriot“, „Joe“, „Shallow Hal“, „Outcast“, „Legendary“, „The Last Castle“ ერთი კვირის განმავლობაში დაათვალიერებენ ბათუმს, წყალტუბოს, ჭიათურას, თბილისს, ყაზბეგს და რუსთავს. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ვიზიტი ხელს შეუწყობს საქართველოს პოპულარიზაციას, ქვეყანაში კინოინდუსტრიის წახალისებას და საქართველოს, როგორც აღმოსავლეთ ევროპის ცენტრად ქცევას.

აღსანიშნავია, რომ პროგრამისადმი „გადაიღე საქართველოში“ ინტერესი საკმაოდ მაღალია, რასაც შემოსული 15 განაცხადი მოწმობს, რომელთა ჯამური ინვესტიციის მოცულობა – 26,9 მლნ ლარს შეადგენს.

◎ სუმო

ამჯერად - ცურიდაშით

ნაგოიას ბაშოზე გუშინ მესამე ტურის შეხვედრები გაიმართა და ლევან გორგაძის ანგარიშზე უკვე სამი მოგებაა. ოძეკის წოდებით მოჭიდავე ტოჩინოშინი ამჯერად იაპონელ კომუსუბი შოჰოძანს დაეჭიდა და ცურიდაშით სძლია — მეტოქე ხელში აიტაცა და დოჰიოს საჭიდაო არენის მიღმა გადასვა.

დღეს გასამართ მეოთხე ტურში ქართველი სუმოისტის მოწინააღმდეგე მე-3 მაეგაშირა აბი იქნება, რომელსაც ურთიერთშეხვედრებში 1:0 ამარცხებს. მიმდინარე ბაშოზე აბიმ 1 ბრძოლა მოიგო და 2 წააგო.

რანგით მეორე, ძურიო ლიგაში მოჭიდავე გაგამარუმ — თეიმურაზ ჯუღელმა გუშინ მონღოლ მიტორიუს აჯობა და სამი ტურის შემდეგ დადებითი ბალანსი აქვს — 2:1.

კობა კობახიძე

◎ ჩემპიონის თვალით

ლაურა დალმაიერი:

საქართველოში სრულიად სხვა კულტურას, სრულიად სხვა სამყაროს ეზიარებით

ბიატლონში მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონმა ლაურა დალმაიერმა ექსკლუზიური ინტერვიუ მისცა მიუნჰენის გაზეთ Manchner Merkur-ს, რომელშიც გერმანელი სპორტსმენი ჟურნალისტ არმინ გიბისს საქართველოში მიღებულ შთაბეჭდილებებზე ესაუბრება.

— თქვენ ბოლო თვეებში იშვიათად ჩანხართ. ამისთვის რაიმე განსაკუთრებული მიზეზი არსებობს?

— ოლიმპიადის შემდეგ მე პირველად ვისარგებლე შვებულებით და საქართველოში ვიყავი მოთხილამურე ტურისტად.

— და რით მოგხიბლათ საქართველომ?

— თავგადასავლებით! იქ სრულიად სხვა კულტურას, სრულიად სხვა სამყაროს ეზიარებით... საქართველოში ჯერ კიდევ ბევრი რამ ორიგინალური და ხელუხლებელია...

— მოგვიყევით თქვენს შთაბეჭდილებებზე...

— ჩვენ ვიყავით უშგულში, საქართველოს ყველაზე მაღალმთიან სოფელში. ჯიპით 35 კილომეტრის გავლას მთელი სამი საათი მოვუნდით. ავტომანქანაში სამნი ვიჯექით — ჩვენი ტვირთით, თხილამურებით. გზა უსწორ-მასწორო, ორმოებიანი იყო, უზარმაზარი ქვებით და კლდეებიდან გადმოსული ჩანჩქერებით. მანქანა ისე ირყეოდა, რომ სახელურებს მთელი ძალით ვიყავი ჩაფრენილი. უშგული უპირველესად თავისი მე-10 საუკუნის კოშკებითაა განთქმული და ამიტომ იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი.

ზამთრობით სოფელი ხშირად ჩაკეტილია, გზები დათოვლილია და მოსახლეობა ვერ გადაადგილდება, ხოლო სოფლის ქუჩებში ძროხები დასეირნობენ. აბა, წარმოიდგინეთ: ვდგავართ ჩვენი ფერადი სპორტული ტანსაცმლით და თხილამურებით შუა სოფელში, ირგვლივ კი ეკზოტიკური პეიზაჟია. უშგულში იმ ადამიანის ოჯახში ვცხოვრობდით, რომელიც სოფლის ადგილობრივი მმართველიც იყო და მუზეუმის კურატორიც. ზოგჯერ ელექტროდენიც გვეთიშებოდა ხოლმე, მაგრამ ამაზე არ ვდარდობდით, რადგან ეს უშგულში ჩვეულებრივი ამბავია. იქაური ქალები საჭმელს ქვის ღუმელებში ამზადებენ. მოკლედ, იქ რომ მოხვდები, თავს სრულიად სხვა სამყაროში იგრძნობ.

— და იქიდან სად წახვედით სათხილამურო ტურით?

— ო, იქიდან თეთნულდზე ავედით, 4800 მეტრზე ზღვის დონიდან. ბოლო 450 მეტრი უკვე თხილამურების გარეშე ვიარეთ. თეთნულდი შეიძლება მონბლანს შევადაროთ. საოცარი შეგრძნებაა, როცა მთაზე დგახარ და სივრცეს გასცქერი.

„ნიუსპრესი“

◎ კალათბურთი



ზაზას ნაცვლად - დემარკუს კაზინსი

„გოლდენ სტეიტმა“ ნბა-ს ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრი დემარკუს კაზინსი ოფიციალურად გაიფორმა. აღნიშნულ ინფორმაციას კლუბის ვებ-გვერდი ავრცელებს. წყაროს ცნობით, კაზინსმა „მეომრებთან“ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რაშიც დემარკუსი 5.2 მილიონ ამერიკულ დოლარს მიიღებს.

კაზინსის გადასვლის შემდეგ უფრო აშკარა გახდა, რომ ზაზა ფაჩულია ოქროსშტატელებს დატოვებს.

განვლილ სეზონში კაზინსი „ნიუ ორლეანის“ შემადგენლობაში საშუალოდ ერთ შეხვედრაში 25.2 ქულას, 12.9 მოხსნას, 5.3 პასს და 1.5 ბლოკ-შოტს აგროვებდა.

ვიტალი ჯაფარიძე

საფეხბურთო მოზაიკა

30 წლის თავდამსხმელი ბაჩანა ცხადაძე კარიერას „ბასტიაში“ გააგრძელებს. ქართველმა ფეხბურთელმა ფრანგულ კლუბთან 1+1 სისტემის კონტრაქტი გააფორმა. აღნიშნული ინფორმაცია კორსიკელთა ოფიციალურმა ვებ-გვერდმა გაავრცელა.

„ბასტია“ ახლო წარსულში ლიგა 1-ში თამაშობდა. გუნდი 2012 წელს საფრანგეთის მეორე დივიზიონის გამარჯვებული გახდა და მომდევნო ხუთი სეზონი უმაღლეს ლიგაში ასპარეზობდა. 2017 წელს გუნდი საფრანგეთის ჩემპიონატში ბოლო ადგილზე გავიდა. საბოლოოდ ფინანსური პრობლემების გამო „ბასტია“ ჯერ საფრანგეთის ნაციონალურ ჩემპიონატში დააქვეითეს, შემდეგ კი აღნიშნული ჩემპიონატის მესამე ლიგაში, რომელიც საფრანგეთში რანგით მეხუთე დივიზიონია. შეგახსენებთ, რომ ამ კლუბს 40 წლის წინათ უეფას თასზე თბილისის „დინამომ“ სძლია — 1:1 და 3:1.

ბაჩანა ცხადაძე კი 2017 წელს „ჩიხურას“ თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუერთდა. მას შემდეგ თავდამსხმელი საჩხერელთა მაისურით მოედანზე ცხრა შეხვედრაში გამოჩნდა და გოლის გატანა ვერ მოახერხა.

* * *

არგენტინის ეროვნული ნაკრები მთავარ მწვრთნელს არ შეიცვლის. ამის შესახებ აფა-ს (არგენტინის ფეხბურთის ფედერაცია) ყრილობის შემდეგ გახდა ცნობილი და შედეგად ხორხე სამპაოლი, მიუხედავად ჩაგდებული მუნდიალისა, „ალბისელესტეში“ გააგრძელებს მუშაობას.

სამპაოლისა და არგენტინის ფეხბურთის ფედერაციას შორის არსებული ხელშეკრულება 2022 წლამდეა გათვლილი და ამ დროში მან ხელფასის სახით 8 მილიონი დოლარი უნდა მიიღოს.

შეგახსენებთ, რომ ხორხე სამპაოლის არგენტინის ნაკრებიდან წასვლის შესახებ ხმები მას შემდეგ დაირხა, რაც სამხრეთამერიკელები მსოფლიოს ჩემპიონატს 1/8 ფინალიდან დაემშვიდობნენ, თუმცა, ფეხბურთის ფედერაციამ სამპაოლის სრული ნდობა გამოუცხადა.

* * *

კატალონიის „ბარსელონამ“ ბრაზილიელი ნახევარმცველი არტური გაიფორმა. როგორც „ბლაუგრანას“ ვებ-გვერდი იტყობინება, მხარეებს შორის 6-წლიანი კონტრაქტი გაფორმდა, ხოლო „გრემიომ“ 40 მილიონი ევრო მიიღო.

საინტერესოა, რომ იმედისმომცემი ბრაზილიელის გამოსასყიდი თანხა 400 მილიონი ევრო იქნება.

არტური ცენტრალური ნახევარმცველია და „ბარსელონაში“ ის პაულინიოს შემცვლელად ესახებათ, რომელმაც ცოტა ხნის წინათ გუნდი დატოვა. მიმდინარე სეზონში 22 წლის ფეხბურთელმა 10 შეხვედრაში 1 გოლი გაიტანა.

გიორგი ფოთაძე

◎ საკომუნიკაციო სფერო

უპლანშეტო სწავლების აჩრდილი?

2018-19 სასწავლო წლის დაწყებიდან მოყოლებული საფრანგეთის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეებს საერთოდ აუკრძალეს სმარტფონებისა და პლანშეტების გამოყენება. გამონაკლისი მხოლოდ სწავლისთვის საჭირო ტექნიკაზე ვრცელდება, ყველა დანარჩენი გაჯეტი კი „კანონგარე“ გამოცხადდა.



არსებითად, გამოდის, რომ საფრანგეთი მსოფლიოში პირველი ქვეყანაა, რომელმაც სკოლებში სმარტფონებისა და პლანშეტების გამოყენება საკანონმდებლო დონეზე აკრძალა. ისე კი ცნობილია, რომ ელექტრომაგნიტური ველის ადამიანის ორგანიზმზე ზემოქმედების შესწავლა საფრანგეთში სხვებზე გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში დაიწყეს. ამდენად, საფუძველს მოკლებული არ არის აზრი, რომ იქაურ სპეციალისტებს ამ მხრივ საკმარისი ცოდნა დაუგროვდათ, რადგან საგანმანათლებლო დაწესებულებებში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების შეზღუდვა მათ ჯერ კიდევ 2010 წლიდან დაიწყეს. სწორედ მაშინ იყო, რომ საფრანგეთის საბავშვო ბაღებსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საშუალო კლასებში უსადენო ინტერნეტის — Wi-Fi-ს გამოყენება აკრძალეს. შემდეგ კი დაადგინეს, რომ ფიჭური კავშირგაბმულობის საბაზო სადგურები სკოლებიდან რაც შეიძლებოდა შორს გადაეტანათ. ამის კიდევ ერთი მიზეზი ის გახლდათ, რომ სკოლებში დიდად გახშირდა მობილური ტელეფონების ქურდობა. ბოლო არგუმენტი ის გახდა, რომ საჭირო იყო პატარების თავისუფალი დროის სწორად გამოყენება, ვინაიდან მიჩნეულია, რომ თუკი ბავშვებს მობილური ტელეფონები არ ექნებათ, სოციალურ ქსელებში „ჯდომის“ სანაცვლოდ ისინი ითამაშებენ, ირბენენ და იხტუნავებენ, რაც შეუდარებლად დიდ სარგებელს მოუტანს მათ ჯანმრთელობას.

თავდაპირველად კი ყველაფერი იმით დაიწყო, რომ 2016 წელს საფრანგეთში სახელმწიფო ანგარიში გამოქვეყნდა, რომელშიც ელექტრომაგნიტურ ველთა შესწავლის საუკუნენახევრიანი ისტორიის მანძილზე დაგროვილი ცოდნის ანალიზი იყო მოცემული. მეცნიერთა დასკვნა ცალსახა იყო: ელექტრომაგნიტური ველები ბავშვების კოგნიტიურ, ანუ გონებრივ თვისებებზე უარყოფითად მოქმედებენ.

სხვათა შორის, საფრანგეთის გარდა ევროპის ბევრ სხვა ქვეყანაში გარკვეული სანიტარიული ნორმები მოქმედებს, რომელთა შესაბამისად 18 წლამდე ასაკის მოზარდთათვის და ფეხმძიმე ქალებისთვის მობილური ტელეფონების გამოყენება რეკომენდებული არ არის, თანაც ახსნილია ამ შეზღუდვის მიზეზებიც, მაგრამ ჩვენში ამას არავინ ითვალისწინებს.

კიდევ ერთი საგულისხმო გარემოება ის გახლავთ, რომ გაზაფხულზე ამერიკის შეერთებულ შტატებში მეტად საინტერესო პრეზენტაცია მოეწყო, რომელზეც თაგვებზე ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგი წარადგინეს. ცხოველებზე ტელეფონებით ზემოქმედებას სწავლობდნენ და პირველად დანამდვილებით დადასტურდა ელექტრომაგნიტურ გამოსხივებასა და ონკოლოგიას შორის კავშირი.

ამდენად, თვალის ერთი გადავლებით გამოდის, რომ მობილური ტელეფონების აკრძალვას შეუძლია სასკოლო განათლების სისტემაში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის პროცესის დამუხრუჭება მოჰყვეს, მაგრამ ეს ასე არ არის, ვინაიდან **სულაც არ არის აუცილებელი, რომ ინტერნეტი უკაბელო იყოს**. ამისათვის კი საჭიროა ყველა სკოლაში ოპტიკურბოჭკოვანი ქსელის გაყვანა, თავად ხელსაწყოთა აწყობა ისეა საჭირო, რომ ისინი მაქსიმალურად შეღავათიან რეჟიმში მუშაობდნენ.

მაგრამ, ვიდრე ოპტიკურბოჭკოვანი ქსელი ყველა სკოლაში შევიდოდეს, მოსწავლეთა სწავლის ხარისხზე ყველა სასწავლებლების ადმინისტრაციამ უნდა იზრუნოს (ალბათ, სამინისტროს სათანადო ორგანოსთან და მშობელთა კომიტეტთან, ან სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით), რისთვისაც სკოლის წესდებაში სათანადო ცვლილებები შეიტანოს და მეცადინეობის პროცესებსა და შესვენებებზე სმარტფონების გამოყენება აკრძალოს. ამის გაკეთება ტექნიკურად რთული არ არის: დილაობით, მეცადინეობის დაწყებამდე მოსწავლეები მობილურ ტელეფონებს ჩააბარებენ, გაკვეთილების დამთავრების შემდეგ კი ისინი მათ დაუბრუნდებათ, ხოლო თუკი ბავშვს მშობლებთან დაკავშირება დასჭირდება, მორიგე მასწავლებლებისგან სათანადო ნებართვის მიღების შემდეგ ამას თავისუფლად შეძლებს.

კიდევ ერთი საყურადღებო გარემოება ისაა, რომ ცოტა ხნის წინათ კომპანია Apple-მა შექმნა ახალი საოპერაციო სისტემა iOS12, რომელსაც სხვა ფუნქციებთან ერთად, მობილური ტელეფონის გამოყენების, ასევე სოციალურ ქსელებში ყოფნის დროის შეზღუდვა შეუძლია, რაც მშობლებს შვილების მეტად გაკონტროლების კარგ შესაძლებლობას მისცემს.

ოთარ ტურაბელიძე

სანთელი

სვეტლანა აბშილავა, სოფიო ქაჯაია, შალვა, მიშა მგალობლიშვილები თანაუგრძნობენ ნინო ბანძელაძეს ძმის

აჩიკო ბანძელაძის

გარდაცვალების გამო.

ლალი ჩხეიძე და გივი ჯაფარიძე ოჯახით თანაუგრძნობენ მზია გვალიასა და მამუკა ადამიას დედისა და სიდედრის, უკეთილშობილესი ადამიანის

თამარ აბშილავა-გვალიას

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებს.

გენდერული ნიშნით დანაშაულის ჩადენა დამამძიმებელი გარემოება ხდება

შს მინისტრის მოადგილე ნათია მეზვრიშვილმა ბრიფინგზე აღნიშნა, რომ შემაკავებელი და დამცავი ორდერის პირობების დარღვევისთვის გათვალისწინებულია პირდაპირ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, ნაცვლად დღეს არსებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისა.

„გვსურს, საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ინიცირებული იმ საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ, რომელიც ამჟამად პარლამენტში განიხილება. კანონპროექტის მიხედვით:

- მკაცრდება სასჯელი ოჯახში ძალადობაზე;
- გენდერული ნიშნით დანაშაულის ჩადენა დამამძიმებელი გარემოება ხდება ცალკეული დანაშაულებისთვის;
- მკაცრდება სასჯელი ოჯახური დანაშაულის განმეორებით ჩადენისათვის;
- შემაკავებელი და დამცავი ორდერის პირობების დარღვევისთვის გათვალისწინებულია პირდაპირ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ნაცვლად დღეს არსებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისა“, — განაცხადა მეზვრიშვილმა.

სექსუალური შევიწროების სკანდალი და ზვიად დევდარიანის წინააღმდეგ დაწყებული გამოძიება

შინაგან საქმეთა სამინისტრო, არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდას“ ყოფილი ხელმძღვანელის ზვიად დევდარიანის წინააღმდეგ დაწყებულ გამოძიებასთან დაკავშირებით განმარტებებს აკეთებს.

შს მინისტრის მოადგილე ნათია მეზვრიშვილის თქმით, ჩატარებულია 40-ზე მეტი საგამოძიებო მოქმედება და ამ დროისთვის დაკითხულია 21 პირი.

„ზვიად დევდარიანის საქმესთან დაკავშირებით. როგორც მოგეხსენებათ, გამოძიება ადევნების ფაქტზე 2018 წლის 23 მარტს დაიწყო. დღეის მდგომარეობით ჩატარებულია 40-ზე მეტი საგამოძიებო მოქმედება. გამოკითხული და დაკითხულია 21 პირი. გამოკითხვაზე უარის თქმის გამო რამდენიმე მოწმე მაგისტრატ მოსამართლესთან დაიკითხა. მიუხედავად იმისა, რომ საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციის მქონე პირებმა არ ითანამშრომლეს გამოძიებასთან, შევძელით, დაგვედგინა მსხვერპლები. 10-მდე პირმა გამოძიებას მიაწოდა ინფორმაცია მათ მიმართ განხორციელებული შესაძლო ადევნების, სექსუალური შევიწროების და სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სხვა დანაშაულის შესახებ. გრძელდება გამოძიება, გამოსაკითხია რამდენიმე პირი, რომლებსაც თავად ზვიად დევდარიანი ასახელებს, რის შემდეგაც მიღებული იქნება საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება“, — განაცხადა მეზვრიშვილმა.

პოლიციის 4 თანამშრომელს დისციპლინური სახდელი დაეკისრა

შს მინისტრის მოადგილის ნათია მეზვრიშვილის განცხადებით, ოჯახურ დანაშაულზე არასათანადო რეაგირების გამო დისციპლინური სახდელი დაეკისრა პოლიციის 4, ხოლო ოჯახური ძალადობის ჩადენის გამო 6 თანამშრომელს, რომელთაგან 3 დათხოვნილი იქნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს რიგებიდან.

როგორც ბრიფინგზე მეზვრიშვილმა აღნიშნა, სამინისტროს შიგნით ძალადობის ეფექტიანი პრევენციისა და ძალადობის განმეორების რისკების თავიდან ასაცილებლად, ცვლილებები განხორციელდა მინისტრის ბრძანებაში, რომლის თანახმად, შემაკავებელი და დამცავი ორდერის გამოცემისთანავე პოლიციის თანამშრომელს ჩამოერთმევა სამსახურებრივი იარაღი.

განახლებული გადასასვლელი

„თბილსერვის ჯგუფი“ მერაბ კოსტავას ქუჩაზე, სასტუმრო „რუმს თბილისის“ მიმდებარედ არსებული მიწისქვეშა გადასასვლელის რეაბილიტაციას იწყებს.

მათი ინფორმაციით, სარემონტო სამუშაოები მიმდინარე წლის 10 ივლისიდან 24 აგვისტოს ჩათვლით გაგრძელდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, დროებით შეიზღუდება მიწისქვეშა გადასასვლელით სარგებლობა.

რეაბილიტაციის ფარგლებში განხორციელდება მოსაპირკეთებელი სამუშაოები, რის შედეგადაც მიწისქვეშა გადასასვლელს პირვანდელი იერსახე დაუბრუნდება.

„თბილსერვის ჯგუფი“ შეფერხებისთვის ბოდიშს იხდის.



ჰაკერების მსხვერპლი კომპანიები

2017 **წლის** მონაცემებით, მინიმუმ 15 კომპანია გახდა ჰაკერების მსხვერპლი. პერსონალური მონაცემების ქურდობა ძირითადად გადახდისას პლასტიკური ბარათის გამოყენების დროს დაფიქსირდა. BusinessInsider იმ კომპანიების ჩამონათვალს აქვეყნებს, სადაც ერთხელ მაინც თუ გადაგიხდიათ ონლაინ ან პლასტიკური ბარათით, შესაძლოა, ჰაკერებს თქვენი პერსონალური მონაცემები მოეპარათ.

ჰაკერების ერთ-ერთი მსხვერპლი სპორტული ბრენდი Adidas-**ია, რომელმაც ამის შესახებ საზოგადოებას გასულ ხუთშაბათს აცნობა. დარღვევები ძირითადად კომპანიის ამერიკულ ვებ-გვერდის ონლაინ გაყიდვებს ეხება. ის ძირითადად ეხება მომხმარებლის ელექტრონულ ფოსტას და ფაქტობრივ მისამართებს, ასევე პაროლებს. ადიდასის მენეჯმენტი ზუსტად ვერ ასახელებს დაზარალებული მომხმარებლების რიცხვს, თუმცა როგორც ისინი ამბობენ, მათი რაოდენობა დაახლოებით რამდენიმე მილიონია.**

ჰაკერების თავდასხმის შესახებ 5 აპრილს ამერიკულმა მულტინაციონალურმა კომპანია Best Buy-მ განაცხადა. როგორც კომპანიის წარმომადგენლობა ამბობს, ამ თავდასხმის შედეგად მომხმარებლების მხოლოდ მცირე რაოდენობა დაზარალდა, რომელთა პერსონალური მონაცემებიც შესაძლოა, მოპარული იყოს.

საფრთხის ქვეშ არიან ის მომხმარებლები, რომელთაც „forever 21"**-ის მაღაზიაში 2017 წლის მარტის თვიდან ოქტომბრამდე ივაჭრეს. მაღაზიის ტერმინალებში დაფიქსირებულ ხარვეზს, შესაძლოა, გამოეწვია ისეთი ინფორმაციის დაკარგვა, როგორიცაა საკრედიტო ბარათის ნომრები, ვადის გასვლის თარიღები და ბარათის კოდები. საფრთხის ქვეშ არიან ის მომხმარებლები, რომელთაც მაღაზიაში 2017 წლის მარტის თვიდან ოქტომბრამდე ივაჭრეს.**

დაზარალებული კომპანიების სრული ჩამონათვალი კი ასეთია:
1. ADIDAS; 2. BEST BUY; 3. FOREVER 21; 4. GAMESTOP; 5. PANERA BREAD; 6. KMART; 7. DELTA; 8. SONIC8

სასტვენი 140 წლის გახდა

ისტორიული წყაროების მიხედვით, სასტვენი პირველად 1878 წლის 10 ივლისს ინგლისში საფეხბურთო მსაჯმა გამოიყენა. მანამდე მსაჯები მატჩისას ყვიროდნენ.

აეროპორტებში ყველაზე მოპარვადი ნივთები

ექსპერტებმა აეროპორტებში ყველაზე მოპარვადი ნივთების სია შეადგინეს. როგორც ირკვევა, აეროპორტში ყველაზე ხშირად იპარავენ ფულს: ჯიბის ქურდები მუდმივად აკვირდებიან მგზავრებს და სწავლობენ მათ გადაადგილებას, რომლებიც ბანკომატიდან ფულს იღებენ. ცდილობენ მათი ბარათების PIN-კოდი დაინახონ, რათა შემდგომ ამ ბარათის მოპარვის შემთხვევაში თანხის გამოტანა შეძლონ.

ყველაზე მოპარვად ნივთებს შორისაა ასევე მობილური ტელეფონები, რომლებიც ტურისტებს ხშირად ერთ ადგილზე რჩებათ.

აეროპორტში ყველაზე მოპარვად ნივთებს შორისაა სათვალე, საფულე, ჩანთა, კამერა, ხელბარგი, სამკაულები, პასპორტი და დოკუმენტები, პლანშეტი და ნოუთბუკი.

საეჭვო სიზუსტე

ტონომეტრების 70 პროცენტი არტერიულ წნევას არასწორად აჩვენებს, ამიტომ მკურნალობის დანიშვნა მათი ჩვენებების გათვალისწინებით მართებული არ არის, აცხადებენ კანადის ალბერტას უნივერსიტეტის მეცნიერები.

მკვლევარებმა ასობით ტონომეტრის ტესტირება ჩაატარეს და აღმოჩნდა, რომ წნევის **გაზომვათა 70 პროცენტში ცდომილება ვერცხლისწყლის სვეტის 5 მილიმეტრს, 30 პროცენტში კი 10 მილიმეტრს შეადგენდა.**

იმის გამო, რომ ექიმები ხშირად ოჯახის ტონომეტრის ჩვენებას ითვალისწინებენ, კლინიკაში მიღებისას წნევის ერთჯერადი გაზომვით კმაყოფილდებიან, ამდენად ამ უზუსტობის წყალობით დაავადების სერიოზულობის დონე შესაძლოა, არასათანადოდ იქნას შეფასებული.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ოჯახური ტონომეტრით წნევის გაზომვისას უზუსტობა შეიძლება, **სხეულისა და ხელის მოძრაობის, არასწორად შეკრული მანჟეტის, პაციენტის დიდი წონის, მისი ემოციური მდგომარეობისა და გაზომვის დროს ლაპარაკის გამოც კი წარმოიშვას(!).**

ისიც საგულისხმოა, რომ არტერიულ წნევას ქალები მამაკაცებზე უფრო ზუსტად ზომავენ.

ქერათმიანთა უპირატესობით

მეცნიერებმა გაარკვიეს, თუ რატომაა, რომ მამაკაცებს ქერათმიანი ქალები მოსწონთ.

აღმოჩნდა, რომ ღია ფერის თმის მქონე ქალბატონებს, ქალური ჰორმონის ესტროგონის შემცველობა მეტი აქვთ, ვიდრე შავთმიანებს.

ეს ჰორმონი დიდად განაპიროებებს არა მარტო მაღალ ფერტილობას (ანუ სექსუალურ მიმზიდველობას), არამედ გლუვ კანს, ხშირ თმასა და წვრილ წელს.

კიდევ ერთი მიზეზი ასევე ისაა, რომ შავგვრემან ქალბატონებთან შედარებით, ქერათმიანი მანდილოსნები ცოტანი არიან, რაც მათზე „მოთხოვნას" ზრდის.

თქვენთვის, ხორცის ტრფიალნო!

წითელი, ანუ ღორის, საქონლისა და ცხვრის ხორცის რეგულარული მოხმარება, 26 პროცენტით ზრდის კიბოთი და დიაბეტით გარდაცვალების ალბათობას, აცხადებენ ამერიკის კიბოს ეროვნული ინსტიტუტის მეცნიერები.



მათივე მტკიცებით, თეთრი, ანუ ქათმისა და ინდაურის ხორცის, ასევე თევზის ჭამის დროს კი ვითარება საპირისპიროა: რაც უფრო ხშირად მოიხმართ მას, მით უფრო ნაკლებია უდროოდ სიკვდილის ალბათობა.

სიკვდილიანობის სტატისტიკას მკვლევარები რამდენიმე სნეულებას მიხედვით აკვირდებოდნენ. ესენია: კიბო, ინფექციური რესპირატორული და გულის, ასევე ალცჰეიმერის დაავადებები, თირკმლების უკმარისობა, ასევე ინსულტი და დიაბეტი.

გოგრაც, წიწაკაც, პომიდორიც...

სტაფილო მეხსიერებას აუმჯობესებს, აცხადებენ ამერიკელი მეცნიერები.

გამოკვლევის შედეგად გაირკვა, რომ კარტინოიდები, რომლებსაც ეს ბოსტნეული დიდი ოდენობით შეიცავს, დადებითად მოქმედებენ ხანდაზმულ ადამიანთა მეხსიერებაზე, ყურადღებაზე, რეაქციასა და ა.შ.

სტაფილოს გარდა, კაროტინოიდებით ასევე მდიდარია გოგრა, წითელი წიწაკა და პომიდორი. თანაც, მნიშვნელოვანია ისიც, რომ თერმული დამუშავების შემდეგ სასარგებლო ნივთიერებათა ოდენობა მატულობს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში"
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა" შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4448; ევრო - 2.8773;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2589;
100 რუბლი - 3.8945; თურქული ლირა - 0.5406;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4419;
1000 სომხური დრამი - 5.0659.

ამინდი 11 ივლისისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +21, დღე +39
მთიანი რაიონები - ღამე +16, დღე +37
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +22, დღე +35
მთიანი რაიონები - ღამე +19, დღე +36
თბილისი: ღამე +25, დღე +36

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge